54

ორთვეული ჟურნალი ყველა ქვეყნისა შვილთათვის!

ახალი სოფელი

№ 9 ყოველ ორ[თვე] ერთ ჟურნალი სექტემბერი

თბილისი
სახელმწ. ლიტერატურის
ცენტრალური ბიბლიოთეკა
1/XI 1928 წ.

შინაარსი:

სოფლის მეურნეობა
ითელი ღვინის დაყენება
სპეც. კ. ბერეკაშვილი.
მორიგი სამუშაო ვენახში შემოდგომის პირს აგრ. ვ. ბიბილაშვილი.
სათესლე მასალის დამზადება
აგრ. ქ. ქომეთიანი.
ნიადაგის დამამუშავებელი იარაღები
აგრ. კლ. ლეჟავა.
ლუფა და მისი მოყვანა
აგრ. გ. ხუციშვილი.
რა და რა ჯიშის ხეხილი ვარგა აფხაზეთისათვის სპეც მ. ქარცივაძე.
ტრაქტორიზაციის ზოგიერთი მტკივნეული მხარე აგრ. მ. თედორაძე.
რა მნიშვნელობა აქვს წველას მეწველობაზე აგრ. ნ. წ—რი.
პირველი დახმარება შინაურ ცხოველებისა უბედურ შემთხვევებში
საქ. ექ. მ. მირიანაშვილი.
კოლექტიური მესაქონლეობა
ნ. ნინიკაშვილი.
გრიპი ექ. გ. მათეშვილი.
მეცნიერება და ტეხნიკა
გამოსადეგი ცოდნა
კითხვა-პასუხი



ცხინვალი
1928

გამომცემლობა „ახალი სოფელი“

ᲥᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“

გამოდის 1928 წლის იანვრიდან აგრონომ **ნ. ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემს გაზეთი **„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“**-ს რედაქცია.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მევენახეობაში — **ვ. ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ;** მეღვინეობაში — **კ. ᲒᲔᲠᲪᲔᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ;** მესაქონლეობაში — **მ. ᲪᲘᲛᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ;** მებაღეობაში — **მ. ᲫᲐᲠᲪᲔᲕᲐᲫᲔ;** მეტყეობაში — **გ. ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ;** სუბტროპიკულ კულტურის დარგში — **ᲔᲠ. ᲜᲐᲪᲐᲨᲘᲫᲔ;** მემინდვრეობა-მებოსტნეობაში — **ნ. ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ;** ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში — **ი. ᲫᲣᲫᲓᲘᲐᲜᲘ;** მეაბრეშუმეობაში — **ᲕᲚ. ᲜᲘᲣᲐᲠᲐᲫᲔ;** მეფუტკრეობაში — **პ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ;** ვეტერინარიაში საქონლის ექიმი — **მ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი **ᲘᲕ. ᲒᲣᲯᲐᲠᲗᲔᲚᲘ.**

მეცნიერულ პოპულიარულ განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები. გარდა ჩამოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ **აგრონომები:** თ. მეგრელიშვილი, გ. აბესაძე, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, ქრ. ჯაფარიძე (ტფილისი), ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), ე. ეფრემიძე, არ. კობახიძე (კახეთი) და ვ. შანიძე (გურია).

სპეციალისტები: აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ. უნაფქოშვილი.

თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.

ჟურნალი გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

!! შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის მეტად სასარგებლო ჟურნალი „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“.

ᲬᲚᲘᲡᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

1 მ. 50 კ., ექვსი თვით — 80 კ., სამი თვით — 40 კ.

ცალკე ნომერი 15 კაპ.

მიიღება ყველა ქოს-სამკითხველოებში და რედაქციაში შემდეგი მისამართით:

ტფილისი: ვოლოდარსკის ქუჩა № 11 ჟურნალ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“-ს რედაქციას.



გაუმაჯობეს შეშების და გლეხების კავშირს!

ახალი სოფელი

ქიზიყისპირული სასოფლო-სამეურნეო და პოპულიარულ-მეცნიერული ჟურნალი

№ 9. სექტემბერი 1928 წ.

განსაზოგადოებული სოფლის მეურნეობა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება არაფერს ზოგავს ღარიბ გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით ღარიბ გლეხობამ სათანადო ადგილი დაიჭიროს სოფლის სამეურნეო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ღარიბ გლეხობას არ შეუძლია დაჭაქსულად, შეუკავშირებლად თავი დაახწიოს სიღარიბეს, ჩამორჩენილობას.

მთელი ჩვენი ეკონომიური საქმიანობა წარმოადგენს, ასე ვსთქვათ, სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის სარბიელს. ამ სარბიელს ჩვენ თანდათან ვიპყრობთ და ვეპატრონებით.

თუ 1926 წლის პირველ ნახევარში კოლექტივების რიცხვი ჩვენში 32-ით **ამოიწურებოდა**, 1927 წლის პირველ ნახევარში ის გადიდდა 85-მდე, 1928 წლის 1 აპრილისათვის ითვლებოდა 300-ზე მეტი. და ეხლა კი კოლექტივები ჩვენში აღწევენ 400 ორგანიზაციას.

კოლექტივების სახით დღეს სოფლად ძლიერდება მეურნეობის სოციალისტური ნაწილი.

ამის საბოლოო მიზანია სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გადიდება, მისი საბაზრო ნაწილის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება.

ეს მარტივი დებულება სათანადო ვალდებულებებს უყენებს ჩვენს კოლექტივებს და გამოიხატება იმაში, რომ კოლექტივებში უფრო მეტი უნდა იყოს შრომის ნაყოფიერება, გაძლიერებული უნდა იყოს წარმოების მექანიზაცია, ამ თავითვე უნდა შესდგეს საკმაო ძირითადი ქონება და ამისთვის საჭირო საამორტიზაციო საშუალებები.

გარდა ამისა კოლექტივებმა უნდა დააინტერესონ, თავიანთი მეურნეობის კარგად დაყენებით და წარმოებით, გლეხური მოსახლეობა და აღუძრან მას სურვილი კოლექტივში გაერთიანების და წვრილ კერძო მეურნეობების გადაკეთებისა კოლექტიურ მსხვილ მეურნეობად.

საამისო ხელსაყრელ პირობებს ქმნის საბჭოთა ხელისუფლება.

მან გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მიწა ალარ არის ყიდვა-გაყიდვის საგანი, ის ვერავის დაუგირავდება და არ გადაეცემა.

ეს კიდევ ცოტაა. საბჭოთა მთავრობამ უამრავი თანხები დახარჯა და ახლაც ხარჯავს იმისათვის, რომ გლეხებზე დარიგებული მიწები გაერთიანდეს და მასზე გაშენდეს ისეთივე მსხვილი მეურნეობა, როგორიცაა დღეს საბჭოთა მამულები.

ჩვენში სულ 420 ათასი გლეხური მეურნეობა ითვლებოდა 1926 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერით. გაბჭოების შემდეგ დაწყებულმა კოლექტიურ მშენებლობამ უკვე ჩაება გლეხთა მეურნეობა ამ საქმეში. ამა წლის 1 აპრისათვის სულ ყველა ფორმის კოლექტივებში გაერთიანებული იყო 3.537 მეურნეობა და ეს რიცხვი დღითი-დღე მატულობს.

У 919

სოფლის მეურნეობა

ღვინის დაყენება

დასასრული *)

ღია დუღილი

დუღილში ჭურჭლიდან ჰაჰა ზევით ამოტივტივდება და ქუდივით ედგმება თავზე; თუ ამოტივტივებული ჰაჰა სითხით არ არის დაფარული, მასზე ძრიელ მრავლდება ძმრის ბაქტერიები.

ამის ასაცილებლათ ჰაჰა ნიადაგ დამალული უნდა იყოს ღვინოში. ჰაჰას სარეველით ხშირათ უნდა დაეროს ისე, რომ ჰაჰამ ჰაერზე გაშრობა არ მოასწროს.


ჰაჰა რომ არ ამოტივტივდეს, ჭურჭელს უკეთდება სახურავი დახვრეტილი ფიცრებისაგან; სახურავი ჩამაგრდება ჭურჭელში იმ სიმაღლეზე, რამდენზედაც შიგ გაჭყლეტილი ყურძენია ჩაყრილი; სახურავის ნაჩვრეტები ისე ვიწროა, რომ ჰაჰა ვერ გაეტევა, ტკბილი კი ადვილათ გავა; ჰაჰა სახურავ ქვეშ იყრის თავს და წვენი ნასვრეტებიდან ამოჩუხჩუხებს; სახურავი და ჰაჰა მადულარი ტკბილით დაიფარება.

ამას ჰქვიან **ნახევრათ დახურული დუღილი.** ჭურჭელს თავზე ეფარება ჭსოვილის ან ფიცრის სახურავი.

ერთი სახურავის მაგივრათ ჩანს შიგნით რამოდენიმე ალაგას უკეთებენ დაჩვრეტილ სახურავებს, ასე ვთქვათ ჭურჭელი იყოფა სართულებათ და გაჭყლეტილი ყურძენი ჭურჭელში თანაბრათ განაწილდება. სახურავების ჩამაგრების მიხედვით იტვირთება ჭურჭელი.

სავსებით დახურულათ (ბერმეტიშულათ) დუღილი

გაჭყლეტილი ყურძნით დატვირთულ ჭურჭელს დახურავენ თავს და მოგლესენ გაჯით ისე რომ ნახშირის სიმჟავე ვერსაიდან აშოიპაროს.



1. ამოტივტივებული ჰაჰა (ღია დუღილი). 2. ტკბილში ჩაფლული ჰაჰა (დაფარული დუღილი) 3. სართულებად დაყოფილი ჩანი.

ნახშირის სიმჟავის ამოსასვლელათ დაუტოვებენ ვიწრო პირს, რომელსაც დაუცობენ გახვრეტილი საცობით. საცობში გაყრილია მოლუნული შუშა ან რეზინის მილი; სითხეში მილი ჩაიშვება.

მილის ზედა წვერი ჩაშვებულია წყლიან ჭურჭელში, რომელიც იქვე ახლოს იდგმება. ამგვარათ ხდება დახურული დუღილი.

დახურული დუღილი უფრო სასიკეთოთ მოქმედებს ღვინოზე; ეძლევა მეტი ფერი, სურნელოვანება და სინაზე.

ჩვენში ზოგ ალაგას საწნახელში დუღილის გამართვა იციან—„ღვინის და-

*) იხ. ჟურ. „ახ. სოფ.“ №№ 7—8.

ყენება ჰაჰაზე“. საწნახელში დაურევენ ხის ნიჩბით ან ფეხით შედგებიან. და „ზელენ“ ჰაჰას. ამგვარ დუღილში ღვინო ბევრ სიკეთეს კარგავს: საწნახელს პირი ფართო აქვს და იქედან ალკოგოლი და ღვინის სურნელება ადვილათ ამოქრის, ღვინო ადვილათ ძმარდება, რადგან ჰაერის გავლენისაგან ჰაჰის დაფარვა ძნელია.

ქვევრში დუღილი ხდება თითქმის დახურულათ; ქვევრს აფარებენ სარქველს, რომელსაც დატოვებული აქვს ვიწრო პირი მილის (სასულე) ჩასამაგრებლათ; სასულეს ჩამაგრების შემდეგ ქვევრს აყალო მიწით მაგრათ გალესავენ. სასულეთ იმერეთში ხვარობენ მცენარე ფერა-ფერას ტოტს, რომელიც შიგნით ფუყეა.

დუღილში ვიწრო სასულედან ამოქრის ნახშირის სიმჟავე, ჰაერი ვერ ჩადის, რადგან სავსეა აირით (გაზით). ახლა ბევრმა შემოიღო სასულეთ მოღუნული შუშის ან რეზინის მილი, რომლის მეორე თავისუფალ წვერს წყლიან ჭურჭელში სდებენ.

როცა კარგი ამინდი დგას, ქვევრში დუღილი წესიერად ტარდება, რადგან ქვევრი მიწაში მარხია და სითბოს უეცარი აწევ-დაწევა არ ხდება. მაგრამ თუ ქვევრი გარეთ მარხია და სიცივეები დადგა, ქვევრში საჭირო სითბოს დაჭერა ძნელია, სიცივის გამო დუღილი შეჩერდება ხოლმე.

სითბოს ასაწევათ ქვევრში ჩაკიდებენ თბილი წყალით სავსე თავ-დაცმულ ბოთლებს; ან რამოდენიმე ლიტრ ღვინოს შეათბობენ ხოლმე და ჩაურევენ ქვევრში, მაგრამ ეს ყოველთვის მიზანს ვერ აღწევს.

როცა დუღილი ქვევრში ღიად ხდება, არც ეს არის ურიგო პირობა დუღილისათვის; ქვევრს პირი შედარებით ვიწრო აქვს, ადვილათ ეხურება თავი და დარევა მოხერხებულია.

დასავლეთ საქართველოში ზოგ სოფლებში შავი ყურძნისაგან წითელ ღვინოს არ აყენებენ. იქ თეთრ ღვინოს ღებავენ შავი ყურძნის ჭაჭით. ოდნავ დაწყნარებულ თეთრ ღვინოს მისცემენ ოცხანური საფერის ჭაჭას; იწყება დუღილი და ღვინო გვარიანათ იღებება; რაც მეტ ჭაჭას მისცემენ, ღვინო მით უფრო მუქათ შეიღებება. ერთ ჰექტოლიტრას – დაახლოვებით 3-4 ფუთი ჭაჭა ყოფნის. ღვინო მალე იწმინდება და ვარგა ადრე ბაზარზე გასატანათ.

როცა ოცხანური საფერის ღვინოს აყენებენ, მაშინაც ყურძნის წვენს ცალკე ადუღებენ და ოდნავ დაწყნარების შემდეგ აძლევენ შესაღებათ ჭაჭას.

იმერულათ წითელი ღვინის დაყენების წესი საყურადღებოა და შესასწავლი.

თუ დუღილში ამოტივტივებულმა ჭაჭამ მოასწრო გაშრობა, ყურადღებით უნდა გაისინჯოს: რაც ჭაჭაა მთელ სისქეზე მას ერთათ როდი უჩნდება სიძმარე; ძმრის ბაქტერიები ჯერ ზევით მოქმედებენ და შემდეგ თანდათან ქვეით, ღრმათ ჩნდება სიძმარე.

ასე სდება ღვინო შიაც; ღვინო თავიდან ჭურჭლის ზევითა ნაწილში ძმარდება და შემდეგ სიძმარე თანდათან ღრმავდება. ამისათვის როცა ჭაჭა საეშვოა, მას ჯერ ზევითა ნაწილი უნდა მოერთვას; თანდათან გაისინჯოს და საეშვო ნაწილი გასცილდეს დანარჩენს.

ღვინო ჭურჭელში შეიძლება მესამეზე ან ნახევარზედაც არ იყოს დაძაბრებული. ნაწილ-ნაწილათ უნდა ამოიღოს ღვინის ნიმუში ჭურჭლის სხვადასხვა ნაწილებიდან ფრთხილათ და ისე გაისინჯოს. ჭურჭლიდან ღვინის საეშვო ნაწილი უნდა ამოიღოთ და დანარჩენს შესაფერისად მოუაროთ.

მანიგის დუღილი უჩნდება ღვინოს ცხელ ქვეყნებში (ალჟირში, ისპანიაში და სხ.), სადაც ყურძნის კრეფის დროს ბრიელ ცხელა. იქ ზოგჯერ ისე ცხელა, რომ იძულებული არიან ყურძენი ღამით კრიფონ.

გაჭყლეტილი ცხელი ყურძენი რომ ჩაყარო სადუღებლათ, გაჩნდება მანიტის დუღილი; თუ ტკბილს სიმჟავე აკლია, ტურნიც ადვილათ გაუჩნდება.

ჩვენშიაც იცის ზ გწლებში რთველის დროს ცხელი ამინდები. ცხელი ყურძნის მოკრეფას უნდა ვერიდოთ; როცა დუღილში სითბო აიწევს, საჭიროა მისი შეგრილება; როცა სიმჟავე აკლია ტკბილს, უნდა მიემატოს ღვინის მარილი.

ამ საშუალებით დაიფარება მაჭარი დავადებისაგან, მაგრამ როცა საეჭვოა ღვინო, მისი შენახვა ყოველთვის სახიფათოა. ასეთი ღვინო აუცილებლათ უნდა გატარდეს პასტერიზატორში

ტურნით დაავადებული ღვინო ჯერ უნდა გაიწუროს და შემდეგ გაუკეთდეს პასტერიზაცია და მალე გასაღდეს.

დაავადებული ღვინო, რაც უნდა წებო ახმაროთ, არ დაიწმინდება.

თუ ჭურჭელს რამე სუნი აქვს, ღვინოს უსათუოთ გადაეცემა. ჭურჭელს თუ აქვს ობის, ნახმელარის, სიდამპლის ან სხვა რამის გემო, ღვინო უსათუოთ შეითვისებს. აგრეთვე ღვინოს აფუჭებს ცემენტი, რკინა და სხ.

ამისათვის ჭურჭლის შემზადება მეღვინეობისათვის განსაკუთრებული ყურადღებით ხდება. ისეთ რამეს ღვინო არ უნდა მიეკაროს.

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲓᲣᲦᲔᲒᲚᲐᲓ

გაჭყლეტა და კლერტის გაცლა. მეღვინეობაში მრავალი მუშაობა სრულდება ახლა იარაღებით და მანქანებით.

ჩვენში ახლაც ბევრი ჭყლეტს ყურძენს ფეხით; ეს მუშაობა ძნელია, უსუფთაო და ძვირი. მანქანით უფრო ადვილათ და იაფათ სრულდება ყურძნის კლერტის გაცლა და გაჭყლეტა.

საჭყლეტ მანქანას დაადგამენ ჩანს ან ქვევრს და ყრიან შიგ ყურძენს; მანქანას ხელით ატრიალებენ. ყურძნის მჭყლეტავი ნაწილები ისეა მოწყობილი რომ მათ შუა ალაგი საჭიროების მიხედვით ფართოვდება-ვიწროვდება, ყურძნის მარცვალი კი არ ისრისება კურკებიან კლერტიანათ, არამედ მხოლოდ იჭყლიტება.

საჭყლეტი მანქანა ახლა გაუმჯობესებულია იმით რომ კლერტის გამცლელი მოწყობილობაც, ასე რომ ერთ და იგივე მანქანა ჭყლეტს ყურძენს და აცილებს კლერტს. გაჭყლეტილი ყურძნის მარცვლები სცვივა სადუღარ ჭურჭელში და მტევნის კლერტები კი ცალკე გააქვს.

კლერტის ცალკე ძლიერ საჭიროა: დუღილში რომ გაჰყვეს კლერტო, მწარე გემოს აძლევს ღვინოს. მართალია, კლერტს ცოტა ტკბილი—მიყვება მაგრამ კლერტი შეიძლება ცალკე დაიჭაჭოს და წვენი ძმრათ მოიხმაროთ.

ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ

ყურძენი სხვადასხვა მიზეზით ზიანდება და ფუჭდება: წვიმიან წლებში ლპება, ან სნეულების გამო სკდება, არ მწიფდება და სხვა.

ყველაზე უფრო საფრთხილოა დამპალი ყურძნის ჩატანება დუღილში; ის ღვინოს დამპლის გემოს მისცემს. ჩვენში ძრიელ გულმოდგინეთ იციან დამპალი ყურძნის ამორჩევა ხელით. ძლიერ საჭიროა ყურძნის გადარჩევა, მაგრამ ძვირი ჯდება მუშაობა.

სხვა ქვეყნებში ბოლო დროს შემოღებულია გოგირდოვანი სიმჟავის (ანგიდრიდი) ხმარება დამპალი ყურძნის გასაუვნებლათ; სიმჟავეს ასხურებენ გაჭყლეტილ ყურძენს, სანამ არ გაუქარდება დამპლის გემო.

ზოგ ალაგში (კახეთში) გავრცელებულია ყურძნის ჭიქა, რომელიც ყურძნის მარცვალს აზიანებს; გამხარი მარცვლები ბლომათ აქვს მტევანს. გამხმარი ყურძენი თავის გემოს აძლევს ღვინოს და არ უნდა ჩაყვეს დუღილში; მტევანს გამხმარი მარცვლები ხელით ეცლება. გამხმარი ყურძენი ისე მაგრათ არის მიმაგრებული ყუნწზე, რომ როცა მტევანს აცლიან კლერტს, მას თან მიყვება გამხმარი მარცვლებიც.

ჯრაქით დაავადებულ ყურძენს სიმწიფე აკლია და სიმჟავე მეტი აქვს;

ასეთ ყურძენს კარგი ღვინო არ გამოუვა. უკეთესია სიმწიფე ნაკლებ ყურძენს შაქარი მიემატოს; შაქარი ღვინოს მიუმატებს სიმაგრეს და თან სიმჟავეც იკლებს.

როცა ყურძენი დაზიანებულია ფრინველის ნისკარტით ან კრაზანისაგან, მარცვლებში მრავლდება გაჟყლეტამდის მავნე ბაქტერიები.

ამგვარ ყურძნის სადუღებლათ აუცილებლათ საჭიროა—წმინდა კულტურის ძლიერი მადუღარის დედა. და უნდა მიემატოს აგრეთვე ღვინის სიმჟავე.

ღვინის გადალება ჭიდან

ჩანის ჩამოშვება.—მიიღებს თუ არა ღვინო შესაფერ ფერს, საჭიროა მისი ჩანიდან ჩამოშვება ან ქვევრიდან გადალება. მოხდება რომ ღვინო საგსებით შეღებილია, მაგრამ ტკბილია და ისევ დუღს.

ასეთ შემთხვევაში ღვინო ისე უნდა გადიღოს, რომ არ გაცივდეს; თუ გაცივდა, დუღილი შეჩერდება და ღვინო ტკბილათ დარჩება. თბილი მაჭარი უნდა მოთავსდეს შესაფერის სადგომში, სადაც ის დუღილს დაათავებს.

ნადუღარი ჭაჭის დაჭაჩვა ბევრათ უფრო ადვილია, ვიდრე უდუღარ ტკბილი თეთრი ყურძნის ჭაჭის—**მსუქანი ჭაჭის**, თუ შეიძლება ეს სახელი უწოდოთ.

ნაჭაჩი ღვინო უფრო მწკლარტეა და სხვა შემადგენლობითაც განირჩევა ჩანიდან ჩამოსულ ჩქეფიდან.

ნაჭაჩ ღვინოს გაანაწილებენ ჩქეფ ღვინოში, როცა რამოდენიმე ჰურჰელში ასხია. ჭაჭას ემატება წყალი და ხდიან არაყს. ავრეთვე ჭაჭიდან აკეთებენ სახარჯო საოჯახო ღვინოს. ან მიუმატებენ შაქარს და დააყანებენ პეტიოს, ან მხოლოდ წყალს დაასხამენ და წყალ-ღვინოს დააყენებენ.

პეტიოს დასაყენებლათ რამდენი ფუთიც ჭაჭაა იმდენი ვედრა წყალს დაასხამენ და თითო ვედრა წყალს მიუმატებენ 3-4 გირვანქა შაქარს.

კოტე ბერეკაშვილი.



მოკრიბი სამუშაო ვენახში შემოდგომის პირს

ვაზების სელექცია ანუ ჯიშთა შერჩევა მევენახეობაში ერთ მთავარ საქმედ ითვლება.

ამ სამუშაოს მევენახეობის წარმატებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ერთი და იმავე ჯიშის ვაზი ერთ და იმავე ვენახში, გინდაც რომ ის ერთნაირად მოვლილი და საერთოდ ერთნაირ პირობებში იყოს, მაინც თვითეული ვაზი ერთი-ერთმანეთისაგან რაიმე თვისებით განირჩევიან, მაგალითად მსხმოიარობით. ერთი ისხამს ბლომად, მეორე კი ნაკლებ.

ვაზების ასეთი განსხვავება მევენახემ აუცილებლივ უნდა გამოიყენოს მის გამრავლების დროს და შეარჩიოს ის ვაზი, რომელიც უფრო ღონივრად ისხამს.

ამ შერჩევის საუკეთესო დრო სწორედ შემოდგომის პირია. მან ეხლავე უნდა დაუაროს ვაზებს და ნიშანი დააღოს.

ნიშნად შეიძლება გამოიყენოთ ზეთის საღებავი, მანეულის წნელი ან მჭვარის ნახევი. სანამყენეთ სწორედ ეს ნიშან დადებულ ვაზის რქა უნდა ვიხმაროთ, რომ ახალ ვენახში, თუ შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ კარგად მსხმოიარე ვაზი იყოს.

ასეთ წესით შერჩეულ ვაზით გაშენებულ ვენახს ეწოდება **სელექციონური ვენახი.**

სახალხო მამული მაგალითს გვაძლევს

ასეთი სელექციონური ვენახი, ზომით ორ ჰექტარამდე გაშენებულია კახეთში, სოფელ ჩუმლაყის სახალხო მამულში.

ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ამ ვენახს გამოსავალი ჰქონდა საშუალოდ 700—800 ვედრამდე ჰექტარზე, ესე იგი სამჯერ მეტი იმაზე, რაც დღეს საშუალოდ მოდის ჩვენს ვენახებიდან.

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სელექციას მევენახეობაში.

თუ ჩვენ ვენახებში მასიური სელექცია მოხდება, მაშინ ჩვენ შეეძლებით 7—8 მილიონ ფუთ ყურძნის მაგიერ, რომელიც ჩვენ ეხლა მოგვდის, 15—25 მილიონამდე მივიღოთ. ეს დიდი მიღწევა იქნება ჩვენთვის მევენახეობაში.

სუფრის ყურძენი

სუფრის ჯიშის ვაზის გაშენებას სრულებით ყურადღება არა აქვს მიქცეული ჩვენ მევენახეებისაგან.

სუფრის ჯიშის ვაზი ჩვენშიაც მოიპოება აქა-იქ, მხოლოდ მცირე რაოდენობით. ამას ეხლავე დათვალიერება და დანიშვნა უნდა, რომ გაზაფხულზე, როცა გაშენების დრო დადგება, გავამრავლოთ სწორედ ეს შერჩეული რქა და არა ის, რომელიც ხელთ მოგვხვდება.

სუფრის ყურძნის შესამჩნევი ჯიშნარი მოგვეპოება **საქარის** (შორაპნის მაზრა), **წინანდალის** და **მუკუზანის** (კახეთი) **ალაიანის** (ქართლი) და **გიაურ არხის** (ბორჩალო) მამულებში.

ჩვენში სუფრის ყურძნებად ცნობილია: **საკმელა, თითა, ქიშმიში, გრდანული, ხარისთვალა, ბუდეშური, განჯური, საბატონო.** ევროპიულ ჯიშებიდან: **შასლა** (სხვადასხვანაირი), **ჩაუში, მუსკატი** (სხვადასხვანაირი).

სუფრის ყურძენს ყოველთვის კარგი ბაზარი აქვს და ოჯახშიაც სახმარებლად დაუფასებელია, განსაკუთრებით, როგორც სამკურნალო და ჯანღონის გამაუმჯობესებელი ნივთიერება.

განსაკუთრებული დიდი ყურადღება მიექცა ყურძენს ამ ბოლო ხანებში მკურნალობაში. ამიტომ მინამ მოსავალი მოიკრიფებოდეს, მევენახემ უნდა დანიშნოს ვენახები და ის ვაზები, საიდანაც შეიძლება სუფრის ყურძნის ჯიშის ვაზისაგან საუკეთესო რქის აღება.

ღვინის დაძენების სამზადისი

შემოდგომის მუშაობაში საყურადღებო ადგილი უჭირავს ღვინის დაყენებას.

თუ დღეს ჩვენი ვენახები დიდ მოსავალს არ გვაძლევენ, სამაგიეროთ ვიდრე მოსავლის გადიდებას მივაღწევდეთ, ყველა მევენახე მოვალეა შეეცადოს მის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩვენში როგორც ტკბილის დადუღება, ისე ღვინის შენახვა ხდება ქვევრებში. ქვევრი კი ყოველთვის თავის გემოს აძლევს, თუ ის წინასწარ წესიერად არ გაასუფთავეთ.


ჩვენ ჩვეულებად გვაქვს, რომ დაცლილ ქვევრს მეორე მოსავლამდე გაურეცხავს ვტოვებთ. მასში დარჩენილი ჭაჭა ჰანგდება, ლპება და ქვევრი შმორიანდება.

გონიერი მევენახე კი დაცარიელდება თუ არა ქვევრი, მაშინვე შეუდგება ქვევრის რეცხვას, ვიდრე სუფთა კამკამა წყალი არ ამოვა ქვევრიდან, მერე ჩაუბოლებს გოგირდს და ისე დახურულს დასტოვებს, ან გარეცხის შემდეგ შიგნიდან შეაყრის გაცრილ ნაცარს.

არც ქვევრის გაჭონვაა კარგი, რადგან ჭონიც ხშირად არა სასიამოვნო გემოს აძლევს ღვინოს. სჯობია ჭონის მაგივრად იხმაროთ წმინდა სანთელი.

შეიძლება აგრეთვე ქვევრის შიგნიდან გაცემენტება. ასეთი ქვევრი არც ღვინოს ჟონავს და არც გემოს და სუნს აძლევს, თუ წინასწარ შემუშავებულია ღვინის სიმჟავით ან ერთხელ თუ მაინც ჰაჭას უდუღნია მასში.

ვასო ბიბილაშვილი.



სათესლე მასალის დამზადება

(გაგრძელება *)

ხშირად ხდება, რომ სათესლე მასალა მსხვილიც და მძიმეც არის, მაგრამ მოსავალი მაინც ცუდი მოდის. შეიძლება თესლი სრულებით ვერ გაღვივდა და ჩანასახი ვერ გამოიტანა.

ამიტომ თესლს სხვა თვისებებთან ერთად გაღვივების უნარიც უნდა ჰქონდეს.

არის თესლი, რომელიც დიდხანს ინარჩუნებს ამ უნარიანობას, ზოგი კი მალე კარგავს მას.

შესაძლოა თესლი სხვა მიზეზითაც იყოს დაზიანებული, ცუდ შენახვისაგან ან მწერისაგან, რომელიც ხშირად ჩნდება ბეღელში.

ამგვარად, დაზიანებული თესლის თესვა არ ვარგა. ამიტომ წინასწარ უნდა გავიგოთ, გამოდგება თესლი თუ არა.

ამის გაგება სულ ადვილად შეიძლება: აიღეთ თეფში, დაასხით ზედ წყალი და დადეთ ზედ შალის ნაჭერი. სათესლე მასალიდან აიღეთ 100 ცალი მარცვალი, დაალაგეთ შალის ნაჭერზე და დადგით თბილ ადგილას. შალი ხშირ-ხშირად დანამეთ. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ კარგი თესლი

*) იხ. ჟურნ. „ახალი სოფ.“ № 7—8.

გაღვივდება და გაიგება მისი ავ-კარგიანობა.


თუ 100 მარცვალში 90-95 ცალი ან სულ მცირე 80 ცალი მაინც გაღვივდა, ასეთი თესლი დასათესად კარგია. თუ ამაზე ნაკლები გაღვივდა, მაშინ ის უმჯობესია ოჯახში სხვა-ფრივ მოიხმაროთ და სათესლე კი სხვა მოიმარაგოთ.

თესლი, რომელსაც გაღვივების უნარი დიდი აქვს, დასათესად ნაკლები დაგჭირდებათ.

თესლის გაწმენდის უბრალო საშუალებანი.

როგორ მივიღოთ კარგი სათესლე მასალა?

შეიძლება სათესლე მასალის **ხელით გადარჩევა** ზამთრის გრძელ ღამეებში. გლეხის ოჯახის თვითეულმა



სურ. 1. წყლის შემწეობით თესლის გარჩევა.

წევრმა ღამეში ნახევარი ცირვანქის ოდენაც, რომ გაარჩიოს, გაზაფხულისათვის უკვე საჭირო თესლიც მზად იქნება.

მაგრამ ასეთ მუშაობას დიდი მოთმინება და ბეჯითობა უნდა და ჩვენ ძალიან ვიშვიათად მივმართავთ მას.

მეორე საშუალება—**თესლის წყლით გარჩევაა.**

ამისათვის იღებენ კასრს წყლით, შიგ ჩაყრიან თესლს, მძიმე მარცვალი ძირს დაილექება, მსუბუქი და ზოგი სარეველას თესლი კი ზევით ამოტივტივდება. (იხ. სურ. 1) ზევით ამოცურდება აგრეთვე ოდიანი თესლიც, საჭიროა მათი საჩქაროთ მოცილება, ვინაიდან მისი მტვერი შეიძლება სრულიად საღ მარცვალს გადაეფოს და დააზიანოს შემდეგში.


გარეცხვის შემდეგ თესლს, რასაკვირველია, კარად გაშრობა უნდა.

თესლის გადარჩევა მანქანით.

თესლის ხელით და წყლით გადარჩევით გლეხი მაინც და მაინც საჭირო მასალას ვერ მიიღებს, ამიტომ მან მანქანას უნდა მიმართოს.

თესლის გადამრჩევი მანქანა ძალიან ბევრია, ზოგი მათგანი თესლს ანიავებს, ზოგი მათგანი ახარისხებს სიმძიმის მიხედვით და ზოგი კიდევ აცლის სხვადასხვა სარეველა ბალახების თესლებსა და ახარისხებს კიდეც ხორბალს.

სანიავებელ მანქანას აქვს ხვიმრი, საიდანაც იყრება თესლი, შემდეგ თესლი ძირს ეშვება და ხვდება ძლიერ ქარში, რომელიც საჭარე ფრთებით იქმნება, ქარისაგან მარცვალს სცილდება ბზე და მტვერი, შემდეგ მარცვალი იყრება ცხავებზე (ცხრილებზე), რომელიც აცლიან ქვებს, მიწის გორახებს და მარცვალი ირჩევა ორ რიგად: მანქანის **უკან გროვდება მსხვილი მარცვალი** და ერთ გვერდზე კიდევ სხვადასხვა ნარჩენები. (იხ. სურ. 2).




სურ. 2. სანიავებელი მანქანა.

ამ მანქანას, თაეის მუშაობით სჯობს მეორენაირი დამხარისხებელი მან-

ქანა „ტრიუმფი“ (იხ. სურ. 3). რომელიც თესლს ყოფს წონის მიხედვით სხვადასხვა ხარისხებათ, ბზე და სხვა მსუბუქი ნაწილები, სარეველა ბალახის წვრილი თესლები ქარს შორს მიაქვს, უფრო მძიმე კი ცვივა მანქანის ახლოს.

ამგვარი მანქანები ასე თუ ისე სწმენდენ თესლს და ახარისხებენ ნაწილობრივ, მაგრამ სავსებით გასუფთავებული თესლი მაინც არ გამოდის. ბევრი სარეველა ბალახის თესლი, იმავე ზომისა და წონისაა, როგორც ხორბალი. მახობელი, გორველა, ცერცველა და სხვა.

ამიტომ საჭიროა ხორბალს ესენიც



სურ. 3. სანიავებელი მანქანა „ტრიუმფი“

მოვაცილოთ და ამ სამუშაოს კი ერთნაირი მანაქანა ასრულებს, რომელსაც „ტრიერი“ ჰქვიან. (იხ. სურ. 4).

ტრიერი შემდეგს ამუშაოს სასრულებს:

ა) ხორბლიდან გამოყოფს რგვალ მარცვალს: **ჭიოტას, გორველას** და სხვა.

ბ) არჩევს ჭვავს, ქერს და შვრიას.

გ) ანაწილებს მარცვალს ხარისხებათ, მათი სიმძიმის მიხედვით.

ამ მანქანაში გატარებული ხორბალი სრულებით სუფთაა, გაწმენდილია სარეველი ბალახების თესლებისაგან და დახარისხებულია კიდეც.

თუ რა მნიშვნელობა აქვს მანქანაში გაწმენდილ თესლს, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი:

გაუწმენდელმა თესლმა ჰექტარზე მოგვცა 40 ფ. მოსავალი, სანიავებელში და ტრიერში გატარებულმა კი—142 ფ.

მეორე მაგალითი: ცდა აწარმოეს სოფ. თამარაშენში, გორის მაზრაში, თანაბარ ღირსების ნაკვეთებზე დათესეს გაუწმენდავი თესლი, რომელმაც ერთ ჰექტარზე მისცა—51 ფუთი ხორბალი, მანქანით გაწმენდილმა კი 100 ფუთი.


ცხადია, რომ მანქანით გაწმენდილ-გაკეთებულ თესლს დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

თუ გინდათ კარგი სათესლე მასალა და დიდი მოსავალი—გაატარეთ ხორბალი სანიავებელ მანქანაში და შემდეგ „ტრიერში“.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ.

როგორც ჩვენ დავინახეთ, სანიავებელი და სარკვევი მანქანები დიდი დახმარებაა სათესლე მასალის დამზადებაში.

თვითეულ მეურნეს მისი შეძენა გაუჭირდება და არც არის სათითაოდ ყველასათვის საჭირო, რადგან გლეხს სათესლე შედარებით ცოტა სჭირდება.



სურ. 4. ხორბლის სარკვევი მანქანა—ტრიერი.

სარკვევ მანქანას კი შეუძლია ათეული ფუთი ხორბლის გაწმენდა და ამიტომ მარტო ერთი გლეხი მისი

ღირებულების ანაზღაურებას ასეთი პატარა სამუშაოთი ვერ შესძლებს.

სანიავებელი მანქანები ღირს 55 მან. და ტრიერი კი 150—250 მანეთამდე. შეიძლება ეს ფასი არც ისე ძვირი ეგონოს ადამიანს, მაგრამ ამოდაუნა ფულის ერთად გადახდა მაინც გასაჭირია.

სულ ადვილათ შეიძლება მისი შეძენა, თუ რამოდენიმე მეურნე შეამხანაგდება, გამოიღებს თვითეული თავის ხვედრ ფულს და საამხანაგოთ იყიდის მანქანას. ყოველ ამხანაგს თანასწორი უფლება აქვს მანქანით ისარგებლოს. ყველა ერთხაირად მოიხმარს მას და თესლიც კარგი იქნება.

თუ სურვილი იქნება და ასეთი ამხანაგობის დაარსებას მოინდომებენ გლეხები, მათ მთავრობის მხრიდანაც დახმარება მიეცემა, სხვადასხვა შეღავათის სახით; მაგალითად ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად და სხვა.

ამხანაგობის დაარსებაში აუცილებლათ დაგეხმარებათ აგრონომი. მიმართეთ მას და ის ყოველგვარ რჩევა-დარიგებას მოგცემთ ან და თუ თქვენ რაიონში არსებობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, იმასაც მიმართეთ დახმარებისათვის.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ძალა ერთობაშია“.

მანქანები საჭირაო საწყობებშიც იშოვება.

საქართველოს ბევრ ადგილას მთავრობის მიერ მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამქირავებელი საწყობები.

თუ რაიმე მიზეზის გამო შეამხანაგება ვერ მოხერხდა და მანქანა ვერ შეიძინეს მეურნეებმა, მაშინ უნდა გაიგოთ, არის თუ არა თქვენ თემში სანიავებელი და სარკვევი მანქანა საწყობში და იმით ისარგებლოთ.

სარგებლობისათვის სულ მცირეოდენი გადასახადია. **ეცადეთ, ნუ დაიზარებთ, გახსოვდეთ რომ კარგი თესლი კარგ მოსავალსაც მოგცემთ.**

აგრ. ქ. ქომეთიანი.

ნიადაგის დამამუშავებელი იარაღები საქართველოში


ნიადაგის დამუშავების მნიშვნელობა

რაც მეტი დრო გადის, იმდენად უფრო მეტი ყურადღება ექცევა ნიადაგის დამუშავების საქმეს. ეს თავისიდაც ცხადია: სოფლის მეურნეობის დარგებს შორის მთავარი და ძირითადი დარგი **მემინდვრეობაა.**

მინდვრად მეტად სხვა და სხვა გვარი მცენარეულობა მოჰყავთ: სიმინდი, ხორბალი, ბამბა, თამბაქო, ჭარხალი, სელი: კართოფილი და სხვა კულტურები.

სოფლის მეურნის მთავარი საფიქრებელი მცენარის მოვლა-პატრონობაა. მისი ცდა ყოველთვის იმაშია, რომ მცენარე ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომ რაც შეიძლება უკეთ განვითარდეს, უკეთესი მოსავალი მისცეს და უკეთ აუნაზღაუროს შრომა და ხარჯი.

ამიტომ მიწის მუშის მთავარი ყურადღება ნიადაგისაკენაა მიქცეული, სადაც მცენარეს უხდება ცხოვრება და სადაც მან უნდა იპოვოს თავის კეთილდღეობის ხელშემწყო პირობები.




ქართული კავი

მცენარის განვითარებისთვის ხელშემწყო პირობებია: **სტაბო, ჰაერი, სინესტე, და საზრდო.**

ესენი ყველა ერთად და ცალცალკე აუცილებლივ უნდა იყოს ნიადაგში, თუ გვინდა რომ მცენარემ წესიერად წეასრულოს თავისი დანიშნულება. ასეთი პირობების შექმნა ნიადაგში მხოლოდ მისი დამუშავებით შეიძლება.

ნიადაგის დასამუშავებლად საქართველოში ხმარობენ **კავს, ქართულს და რკინის გუთანს**

კავით მიწას დასავლეთ საქართველოში ხნავენ. ის საქართველოს მთიან ადგილებშიაც არის შემოღებული. კავით მუშაობას ის ნაკლი აქვს, რომ



საბრუნავი გუთანი, იხმარება მძიმე ნიადაგიან ფერდობ ადგილებში

ის კი არ ხნავს, არამედ ნიადაგის ზედაპირს სჩიჩქნის, მისგან მთლიანი ხნელი ბელტი ზოგი ბრუნდება, ზოგიც ისევ თავის ადგილას ჯდება. კავით ნახნავში ხშირია ხარვეზი.

გარდა ამისა, კავით ხვნის დროს საჭიროა, რომ კავი მუდმივ ხელით გკეჭიროს. ამიტომ კავის ნამუშევარის ხარისხი მთლად გუთნის დედის უნარიანობაზე და ცოდნა-გამოცდილებაზედაა დამოკიდებული.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲗᲐᲜᲘ

ქართული გუთანი თავისი გრძელი ფართით მუშაობის დროს მიწას ფუშვნის და ბელტის ბალახიან ზედაპირს ქვემ აქცევს, მაგრამ მოითხოვს დიდ ძალას. იმავე ზომის რკინის გუთანი კი თანაბარ სიღრმისა და სიგანის ჯვალს აკეთებს და მოითხოვს ნაკლებ ძალას.

ეს ითქმის მხოლოდ ისეთ რკინის გუთანზე, რომელიც ადგილობრივ პირობებს შეეხაბამება.

ᲒᲣᲗᲐᲜᲘ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲤᲔᲠᲔᲑᲓᲔᲡ

ხშირად, როცა გლეხი კავის შემდეგ, გუთნით მუშაობას იწყებს, ის მაინც უკმაყოფილო რჩება გუთნით. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას მის ნიადაგებისათვის შეუფერებელი გუთანი შეხვდა.

ამიტომ საჭიროა ჯერ ნიადაგის თვისებების გაცნობა და შემდეგ წესაფერი გუთნის არჩევა.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევიგნოთ, რომ პრიმიტიული (მარტივი, მამა-პაპური) იარაღები: კავი, ქართული გუთანი, რომელსაც რამოდენიმე უღელი საჭონელი სჭირდება, ჩვენთვის მიუღებელია. **საჭიროა მათი ადგილი მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ პირობებისათვის შესაფერი რკინის გუთანმა დაიკავოს.**



ტყის გუთანი

სწორედ ასეთი გუთანი წესიერად შეასრულებს ნიადაგის მოხვნის ძირითად პირობას: **მოგვცემს თანაბარ სიღრმისა და სიგანის ჯვალს, მოსჭრის, გადააბრუნებს და დაფშვნის ბელტს** და სარეველ ბალახების განვითარებას ხელს შეუშლის.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲣᲗᲐᲜᲘ

ყველა მიწის დამამუშავებელი იარაღი კავი იქნება, თუ გუთანი თავის

აგების შესაფერ ზომის ყვალს სტოვებს. ყვალს აქვს თავისი სილრმე-სიგანე. ამ ყვალის გასავლებად საჭიროა გამწევი ძალა. საქართველოში ასეთ ძალად უმეტეს შემთხვევაში ხმარობენ **ცოცხალ ძალას: ხარს, ცამეჩს, ცგენს და მექანიკურ ძალას—ტრაქტორს,** მაგრამ არის სხვადასხვა აგების გუთანი და სხვადასხვა სიმძლავრის ძალა.



ბალის გუთანი

როგორი აგების გუთანია გამოსადეგი და რა სიძლიერის ძალაა საჭირო მათ ასამუშავებლად?

საკითხის გამოსარკვევად უნდა დავიწყოთ ნიადაგიდან. ვიდრე სახნავ იარაღის შეძენას გადასწყვეტავდეთ, ჯერ უნდა გამოარკვიოთ ნიადაგის თვისება:— მსუბუქია, მძიმე, ძალიან მძიმე, თუ საშუალო სიმკვრივის. გუთანი, რომელიც მსუბუქ ნიადაგში გამოდგება, ცხადია, ის მძიმე ნიადაგში ვერ იმუშავებს და დაიმტვრევა. ასეთი შემთხვევები ძლიერ ბევრია.

ხშირად ხვნის დროს გუთანს მიწა ძლიერ ეწებება. ეს გარემოება გუთანს ამძიმებს. გუთნის დედა იძულებულია ხშირად შეჩერდეს და სწმინდოს გუთანი, რომ გუთნის წინააღმდეგობა შეანელოს.

ყოველმა სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხანამ იცის ნიადაგის ეს პირობები და მათ მიხედვითაც აკეთებს გუთნებს. მყიდველების სახელმძღვანელოდ ყოველ გუთანს აზის თავისი ნიშნები, რომელიც უჩვენებენ, თუ როგორი ნიადაგისთვის არის ის გამოსადეგი.


ხშირად სოფლის მეურნე რკინის გუთნით უკმაყოფილო რჩება. ეს იმიტომ, რომ მას თავის ნიადაგის შესაფერისი გუთანი არ შეუძენია. ამისათვის, ვიმეორებთ, ადგილობრივ პირობების შეუსწავლელად, აგრონომის დაუხმარებლად გუთანი არასოდეს არ უნდა შეიძინოთ.

რა და რა ჯურის გუთნებია ხმარებაში

მუშაობის მიხედვით გუთანი სხვადასხვა გვარია.

მსუბუქ და ქვიშიან ნიადაგში ისეთი გუთანი იხმარება, რომლის ფრთას ცილინდრული მოყვანილობა აქვს. მსუბუქ და ქვიშიან ნიადაგში ბელტი ვერ ბრუნდება, ის მხოლოდ იკრება და მაშინათვე ფხვიერდება, ასეთ ნიადაგში და ასეთ გუთანში ცხენებს უბამენ, რადგან აქ მუშაობა სწრაფად შეიძლება.

მსუბუქ, მჩატე თიხიან ნიადაგში იხმარება კულტურულ ფრთიანი გუთანი. ასეთი სახის გუთნები უფრო გავრცელებულია. მათი გავრცელება იმით აიხსნება, რომ ამ სახის გუთანი ბელტს სჭრის, აბრუნებს და ერთდა




ტრაქტორზე მისაბმელი გუთანი

იმავე დროს ახვიერებს.

ამ სახის გუთანი მძიმე და ძლიერ მძიმე მიწებში იხმარება. რადგან ამ გუთნის მუშაობა ასეთ პირობებში ძნიმეა, ამიტომ მის გასასწევად შეგვიძლიან ხარი, კამეჩი გამოვიყენოთ.

მთიან და ფერდობიან ადგილებში საჭიროა ბელტი დაქანებისაკენ ბრუნდებოდეს. ამ პირობის შესრულება მხოლოდ და მხოლოდ საბრუნავი გუთნით შეიძლება.

ახოების დასამუშავებლად და ნიადაგის ჯაგებისაგან გასაწმენდათ არ-




ორ სახნისიანი გუთანი, იხმარება ასაოშად.

სებობს საგანგებო ტყის გუთანი.

ბაღებში სახმარებლად გამოგონილია მსუბუქი ერთ-თვალა გუთანი.

გარდა ამისა არსებობს ორი, სამი და მრავალ სახნისიანი გუთნებიც. რამდენადაც სახნისების რიცხვი მატულობს, იმდენად ხვნის განიც იზრდება და მასთან ერთად გამწევი ძალაც იზრდება, ამიტომ ასეთი დიდი განის გუთნების ასამუშავებლად ტრაქტორების ხმარება აუცილებელია. სამაგიეროდ მუშაობის შესრულების დროც მცირდება.

აგრონომი კლ. ლეჟავა.



ᲚᲣᲤᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ

დასასრული *)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲪᲚᲐ

როცა მცენარე წამოიზრდება და მომაგრდება, ნათესი უნდა შეთხელდეს. თვითეულ ორმოში უსობენ ორ მეტრ სიგრძის სიმაღლის სარს ანუ ჯოგს, რომელიც წინდაწინვე დამზადებული უნდა გქონდეს, ჯოგების გასწვრივ მიამაგრებთ ჯოკებს (ჭერიხებს). რომლებზედაც შემდეგ მოაკრავთ მცენარის ყლორტებს. აჭარისტანში და გურიაში კარგ სამსახურს გაუწევს ამ საქმეში ბამბუკი და დრაცენა (მცენარეა, რომლის ფოთლის ანაგლეჯი კარგი შესახვევი მასალაა,, როგორც რაფია ან ჩვენებური ლაფანი). სარები ისე უნდა დაუსოთ, რომ მცენარის ფესვები არ დააზიანოთ.

ლუფის ზრდის მიხედვით, საჭიროა მისი ძანდათან აკვრა სარებზე და ჯოკებზე. მცენარის ზრდის დროს საჭიროა აგრეთვე სარეველ ბალახების მოსპობა და ძირებზე მიწის შეყრა ორ-სამჯელ.

ᲚᲣᲤᲐᲡ ᲒᲐᲡᲮᲕᲚᲐ ᲡᲭᲘᲠᲘᲐ

ლუფას ნიადაგი თუ ნოყიერი შეხვდა, როგორც ვთქვით ზევით, ხუთ მეტრზე გაძველი ეზრდება და ნაყოფსაც ბევრს ისხამს. ლუფის მცენარე რომ ასე დასტოვოთ ბევრ ყლორტებს, ტოტებს და ნამხრევებს გაიკეთებს და ნაყოფსაც ბევრს მოისხამს. მაგრამ ეს ნაყოფი ვერ გაიზრდება იმდენად, რომ მისგან მიღებულმა ნაწარმოებმა — ღრუბელმა—ბაზრის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ბაზარი მოითხოვს 30 სანტიმეტრზე არა

*) იხ. ჟურ. „ახ. სოფელი“ № 4.

ნაკლები სიგრძის ღრუბელს. გარდა ამისა, როცა მცენარეს ბევრი ასხია, ნაყოფის ბადისებური სხეულიც მდარე გამოდის.

რადგან ნაყოფის დამწიფებას დიდი დრო (ორ თვე-ნახევარი) სჭირდება ამიტომ აუცილებელია ის ნაყოფი, რომელიც აგვისტოს დამლევს ინასკვება, მოვაცილოთ მცენარეს. საერთოდ კი მცენარეზე არ უნდა დაიტოვოს 10 ცალზე მეტი ნაყოფი. ღარიბ, მწირ ადგილებში 4 ცალი ნაყოფიც საკმარისია. ნოყიერ ნიადაგში კი ათამდინაც შეიძლება დასტოვოთ.

გასხვლას დაიწყებთ მის შემდეგ, როცა მცენარე ამ განსაზღვრულ ნაყოფიჭ რიცხვს გამოისხამს. მაგრამ ამ რიცხვში არ უნდა შედიოდეს ის ნაყოფები, რომლებიც მთავარ ყლორტებზეა გამოსული და ყლორტებთან ერთად უნდა მოისპენ, რადგან ნაყოფები მიწის პირად იზრდებიან და სულ ერთია ამისაგან დალპებიან. იმის შემდეგ, რაკი მცენარეს განსაზღვრული რიცხვი ნაყოფისა გამოისხმება, მაშინ საჭიროა, რომ ყველა ახლად გამოსული ნაყოფი და ნაყოფიანი და უნაყოფო ნამხრევი მოვაცილოთ. გარდა ამისა წვერები უნდა წააწყვიტოთ, როგორც მთავარ ღეროს, ისე მსხმოიარე ყლორტებს. მსხმოიარე ყლორტს წვერი უნდა წაეწყვიტოს ნაყოფის ერთი ან ორი მუხლით ზევით. მცენარის გასხვლა უნდა განაგრძოთ ნაყოფის სრულ დამწიფებამდე. მცენარეზე არ უნდა დასტოვოთ არც ნამხრევები (გერები), არც მამრობითი ყვავილები, ყლორტები, რომლებიც შემდეგ იფოთლებიან, ისხამენ ნაყოფს, ულვაშებს და სხვა.

ლუფის სასხლავად უნდა იხმაროთ ბაღის მაკრატელი ან მჭრელი დანა.

ლუფისათვის გასხვლა აუცილებელია.

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ

ლუფა შემოსვლას იწყებს აგვისტოს თვიდან და ნოემბრის დამლევს მთავრდება. ნაყოფს სიმწიფე არა მარტო სიყვითლეზე, არამედ უმთავრესად სირბილეზე და სიმჩატეზე ეტყობა. დამწიფებული ნაყოფი დიდხანს არ უნდა დარჩეს ჭიგოებზედ, რადგან ნაყოფის კანი ბადისებური ქსოვილს მჭიდროთ ეკვრება და შემდეგ ძნელად სცილდება, რაც მას მრეწველობით ღირებულებას უკარგავს. მაგრამ არც მწვანე და დაუმწიფებელი ნაყოფი უნდა მოიკრიფოს, რადგან ნაწარმოები — ღრუბელი— გამოდის სუსტი, თუმცა ძალიან თეთრი.

ნაყოფი აუცილებლათ ბაღის მაკრატლით ან მჭრელი დანით უნდა მოსჭრათ. მოწყვეტით შეიძლება ნაყოფი დააზიანოთ.

წვიმიანი ამინდები სიმწიფის ხანაში ბევრ ნაყოფს ალპობს. პლანტაცია ხშირ-ხშირად უნდა დათვალიერდეს და ლპობაში შესული ნაყოფი მაშინვე მოსცილდეს. თუ ნაყოფს სიდამპლე (ჭორფლი) შეეპარა, შეიძლება მისი გამოყენება, მისგან დაბალი ხარისხის ღრუბელი გამოდის.

ერთი ჰექტარი მიწა იძლევა 25—30 ათასამდე ცალ ნაყოფს.

ᲚᲣᲤᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ

თანდათანობით მოკრეფილი ლუფის ნაყოფი ხის უროთი (ჩაქუჩით) უნდა დაბეგვოთ და რაც შეიძლება მალე გაანთავისუფლოთ კანისაგან. კანგაცლილი ნაყოფი უნდა ჩადოთ გრძელ ვარცლში ან როფში, რომელსაც ძირზე აქვს ნახვრეტი საცობით. ვარცლში ნაყოფს გარეცხავთ ცივ წყალში ლორწოს მოსაშორებლად და შემდეგ დაბერტყავთ თესლის მოსაცილებლად.

რამოდენიმე ნაყოფის გაწმენდის შემდეგ, ვარცლიდან წყალი უნდა გავუშვათ, რომელიც თან გაიყოლებს თესლს. თესლი ვარცლის ქვეშ მდგარ დაცხრილულ ძირიან ყუთში დაგროვდება, მერე გარეცხავთ და მზეზე გააშრობთ.

გარეცხილ ღრუბელს კი ჩაჰყრით ადუღებულ წყლიან ქვაბში, ნახევარ საათს და ან მეტს ადუღებთ, მერე ამოიღებთ და ჩაჰყრით ცივ წყალიან ჭურჭელში, ამ ჭურჭელში წინასწარ ჩასხმული უნდა იყოს ცოტა ჩვეულებრივი ლიდა. ამის შემდეგ ღრუბელს გასწურავთ, აასხავთ კანაფის ძაფზე და მზეზე გააშრობთ. თითო ძაფზე უნდა აისხას 50 ცალამდე.

შავი ფერის ნაყოფის ბადისებრივი ქსოვილის გათეთრება არაფრით არ შეიძლება ჯერ-ჯერობით, მაგრამ მაინც უნდა უპატრონოთ.

ერთ მუშას 8 საათის განმავლობაში შეუძლია დაამუშაოს 60—70 ცალამდე ნაყოფი.

აგრ. გ. ხუციშვილი.

რა და რა ჯიშის ხეხილი ვარგა აფხაზეთისათვის

სოხუმის სანაპიროების ცენტრალური ნაწილი (გუმისტანის მაზრა)

სოხუმის სანაპიროების ცენტრალურ ნაწილში (გუმისტანის მაზრაში) გავრცელებულია ატამის, ქლიავის, მსხალის, თხილის, მანდარინის და სხვა ხეხილების მოვლა-მოშენება.

ვაშლი—**კანდილ სინაპი**, აფხაზური დემირ ალმა, ჩერქეზული როზმარინი, **ნაცარა-ვაშლი, ფრანგული რენეტი**, აპორტი.

მსხალი—სოხუმის დიუშესი, ვილიამსი, საყვარელი კლაპისა, კიურე ანუ პასტორის, საზამთრო დეკანკა, ბერე ბოსკ.

ქლიავი—იტალიანური **ვენგერკა**, მწვანე **ოტური**.

ატამი—(საძირეთ ატამი და ტყემალი) **ამსდენ**, ადრე მოსავალა ალექსანდრე, **სოხუმის ლაჟვარდის ფერი საგვიანო**, გოგრიჩიძე, (ბარონ დიუფურ) **სალვეი**, ოქ-ტომბრის საგვიანო, ელტრისა, **ტრიუმფი, გრენსბორო**.

ბალი—**საადრიო ვარდის ფერი**, ესპერენი, თათრული ანუ ყირიმული გინი, **ნაპოლეონი, ყვითელი დროგანისა, ყვითელი ლუნისინისა**, გინი შავი, მაისის საადრიო.

ალუბალი—კომერციული მნიშვნელობა არა აქვს.

თხილი—ბადემი, კერასუნდი, სტამბული, სივრი.

ლეღვი—ატაპერ-ჯან-ალახა, ალლახამ კოკო.

ხურმა—ჩვეულებრივი.

კაკალი—ამერგუზი, არამჩაგი.

ზეთის ხილის ხე—ართვინის, ოთური, ბუტკო, გურვალა. ბერძნული ჯიშები: **ნაჟმინის** (სასუფრე), **ტასსიის** (ზეთისათვის) **ტალგუნის** (კონსერვისათვის).

ფორთოხალი—ბატიუმკინი, მტევანა, ჭიპიანი, ვაშინგტონისა, ნეაპოლიტანური სისხლის ფერი, კოროლიოკ ფორთოხალი.

ნარინჯი—უნშიუ ანუ სატსუმა, კლემენტინი.

ლიმონი—ახალი ათონის, მელაროზა, სპარსული.

იაპონური ზღმარტლი ანუ ლოკვა.

იაპონური ხურმა ანუ კაკი.

ფეიხოია.

აფხაზეთის მთებს აქვთ მდებარე ზოლი (გუმის და წებელდის).

ვაშლი—აზინჩა-არცა, ხახა-კაპშ, აფხაზური რკინის ანუ დემირ ალმა.

მსხალი—კარგათ არ ხარობს.

ქლიავი—აბხიაშ-აბხიაზ, აცარაბხია, ჭანჭური, **იტალიანური ვენგერკა, მწვანე ოტური**.

ლეღვი—ატაპერ-ჯან-ალახა, ალახამ კოკო.


ალუბალი—(მაგალების ალუბალზე) აფხაზური ანუ ანატოლიის.

ბალი—ადგილობრივი ჯიშები.

ხურმა—კაკი.

თხილი—ბადემი, კერასუნდი, სივრი, სტამბული.

საეც. მ. ქარცივაძე.



ტრაქტორიზაციის ზოგიერთი მტკივნეული მხარე.

ტრაქტორის გავრცელება გლეხურ მეურნეობაში, როგორც რთულის და ძვირფასი მანქანისა, დაკავშირებულია მრავალ ორგანიზაციულ საკითხებთან. ამ საკითხების გვერდის ახვევას შეუძლია სრულიად ჩაშალოს და დაღუპვის კარამდე მიიყვანოს ეს მეტად რთული და სერიოზული ამოცანა.

ტრაქტორი, როგორც რთული მანქანა, მოითხოვს გლეხურ მეურნეობის ერთგვარ ტეხნიკურ მომზადებას და მეორეს მხრივ სრულ და ჩამოყალიბებულ სარემონტო ქსელს, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება გატეხილ და უმოქმედო მანქანისათვის დროზე შველა.

ჩვენში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთების საკითხი ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული.

მართალია მიწსახკომისარიატმა ამ მხრივ უკვე გადადგა ნაბიჯი და მოაწყო ტფილისში იარაღ-მანქანების და ტრაქტორების შემკეთებელი მთავარი სახელოსნო, რომელიც უსათუოდ დიდ საქმეს აკეთებს და დიდ დახმარებასაც უწევს ტრაქტორის მეპატრონეებს, მაგრამ აშკარათ უნდა ვალიაროთ, რომ მარტო ეს ერთი სახელოსნო ვერ დააკმაყოფილებს მთელ საქართველოს. მანქანების სიმრავლეც რომ მხედველობაში არ მივიღოთ, თვით ის გარემოება რომ ქ. ტფილისი შესამჩნევად დაშორებულია ჩვენ რაიონებს, სადაც ტრაქტორები მუშაობენ და სადაც გადატანა-გადმოტანის საკითხი მეტად მძიმედ სდგას, აძნელებს ტრაქტორების შეკეთების საკითხის წესიერად მოგვარებას.

როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა ტრაქტორის მეპატრონისათვის ერთად-ერთ მტკივნეულ საკითხს, ტრაქტორის შეკეთების საკითხი წარმოადგენს. სიშორე და ტრანსპორტის მოუგვარებლობა ხშირად აიძულებს ტრაქტორის მეპატრონეებს სრულიად უმოქმედოთ დასტოვოს თავისი მანქანა, ვინემ გადმოიტანოს ის ტფილისში. ეს გარემოება უსათუოდ ჩამაფიქრებელია.

მიუხედავათ იმისა, რომ მიწსახკომისარიატმა მეტრაქტორეების მოსამზადებლად სამჯერ მოაწყო კურსები და სრულიად მომზადებული შემანქანეები გამოუშვა, ხშირია მაინც შემთხვევები, რომ ტრაქტორს ამუშავებს

არა კურს დამთავრებული მემანქანე, არამედ სრულიად შემთხვევითი პიროვნება, რომელსაც მანქანასთან არაფერი საერთო არა აქვს-რა ასეთი პირები იმის გარდა რომ მანქანას აოხრებენ და ტრაქტორის მეპატრონეებს გულს უტეხენ საქმეზე, უზომო ხელფასს მოითხოვენ.

ამიტომ საჭიროდ ვსთვლით დავასახელოთ ზოგიერთი მთავარი ღონისძიება ტრაქტორიზაციის წესიერათ განვითარებისათვის ჩვენში.

1) სანამ ახალ ტრაქტორებს შემოვიტანდეთ, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას არსებული სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები შესაფერისად მოწყობილ შემკეთებელ სახელოსნოებით და სათადარიგო ნაწილების საწყობებით. შემოტანილი ტრაქტორები კი არ უნდა **„იყიდებოდეს“**, არამედ **ნაწილებოდეს** და შესაფერისად მოვლილ იქნას ტეხნიკურიად.

2) რადგანაც მიწსახკომისარიატი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მამოძრავებელ ძარღვს, ტრაქტორების მოვლის და შეკეთების საკითხი უსათუოდ მის ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის ქვეშ უნდა ხდებოდეს. ტეხნო-დახმარების მოქმედების ასპარეზი უნდა ფართოვდებოდეს და შეიქმნას მაზრებშიაც ტეხნო-დახმარების ინსტიტუტი.

3) იმ ადგილებში, სადაც ტრაქტორების რიცხვი საკმაოდ მოიპოვება, უნდა მოეწყოს სამაზრო და სარაიონო შემკეთებელი სახელოსნოები. ამ საქმისათვის საჭირო ფული საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა გადასდონ.

4) რადგან ყოველ გასასყიდ ტრაქტორის ღირებულებაში შედის სავალდებულო დარიცხვა ტეხნო-დახმარებისათვის 165 მან. თითო ტრაქტორზე და ამ ფულებს გლეხებს ახდევინებენ, ტეხნო-დახმარების უფასოდ გასაწევად, საჭიროა მიწსახკომისარიატმა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და კანტროლი გაუწიოს, რომ ეს ფულები ნამდვილად პირდაპირ დანიშნულებისათვის იხარჯებოდეს.

5) ადგილობრივმა აგრო-ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ტრაქტორის მემანქანეთ მუშაობდეს სწორედ ის პირი, რომელსაც დასრულებული აქვს სატრაქტორო კურსები და საბოლოოდ აიკრძალოს შემთხვევითი პირების მანქანებზე მუშაობა.

6) საჭიროა აგრეთვე, რომ თვით სამანქანო ამხანაგობების წევრები მზადდებოდნენ მეტრაქტორეებათ.

7) არა ნაკლებ მნიშვნელობას წარმოადგენს ტრაქტორების უზრუნველყოფა საჭირო სათადარიგო ნაწილებით და მათი მიახლოვება ტრაქტორთან სარაიონო და სამაზრო საწყობების შექმნით. ამ საქმეს ეხლავე ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის კავშირმა.

8) საქართველოს პირობები მოითხოვს განსაკუთრებულ სახის ტრაქტორებს. გავრცელებული ტრაქტორი „ფორდზონი“-ს სისტემა ჩვენს რესპუბლიკაში ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. შემდეგისათვის არამც თუ ტრაქტორი, სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანები არ უნდა ვრცელდებოდეს, სანამ ის გაშინჯული და გამოცდილი არ იქნება საცდელ სადგურისაგან.

9) უკვე მეოთხე წელია ჩვენში ტრაქტორები მუშაობენ და დღემდე არ მომხდარა საფუძვლიანად გამოკვლევა-შესწავლა არსებული სატრაქტორო მეურნეობების. გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ გამოიძებნოს განსაკუთრებული თანხები და მიწსახკომის თაოსნობით მოხდეს ყველა სატრაქტორო მეურნეობათა გამოკვლევა-შესწავლა სპეციალისტების მიერ.


აგრ. მ. თედორაძე.

რა მნიშვნელობა აქვს წველას მეწველობაზე

სოფლის მეურნეობის დღევანდელი მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მან ყოველი თავისი დარგის მოსავლიანობა და ღალიანობა რაც შეიძლება მაღლა ასწიოს.

მერძეობაშიაც მეურნე უნდა ცდილობდეს არა მარტო ძროხის მეტ ღალიანობაზე, ესე იგი, მეტი რძის მოცემაზე, არამედ იმაზედაც, რომ გამოწველილი რძე მეტ ცხიმს (სიმსუქნეს) შეიცავდეს.

ამ ორ მიზნის მისახწევად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მეწველ საქონლის შერჩევას და მის წე-



წესიერი წველა მუჭით

სიერად კვებას, არამედ წველასაც, რადგან თანახმად მეცნიერულ გამოკვლევისა, რძე ცურში სწორედ წველის დროს ჩნდება. ცური წარმოადგენს რძის დიდ ჯირკვალს, რომელიც შესდგება მეტი წილი მტევნისებურ შეკრულ ჯირკვალ-ბუშტებისაგან.

რამდენიც მეტია ცურში ეს ჯირკვალ-ბუშტები, რომლებშიაც უმთავრესად მოთავსებულია სარძევე უჯრედები იმდენად უფრო მეტი რძე ჩნდება. ამიტომ ცურის სიდიდე მეტ ნაწილად ნიშანია კარგი მეწველობისა.

რძე შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ და მხოლოდ თვით სარძევე ჯირკვალში. თანახმად დაკვირვებისა, რომელიც უმთავრესად შეიცარიაში ხდებოდა, რძე ჩნდება ორ ერთი-ერთმანეთისაგან განსაზღვრულ ხანაში.

პირველი ხანა გრძელდება პირველ მოწველიდან მეორე მოწველამდე, დაახლოებით 8 ან 12 საათი, რომელიც დამოკიდებულია წველის სიხშირეზე.

ამ ხნის განმავლობაში რძე ჩნდება ნელ-ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ და გროვდება სარძევე ხვრელებში ცურის ზეითა ნაწილში. ცურის ქვედა ნაწილში, განსაკუთრებით ძუძუებში. ამ დროს რძე არ არის ან საერთოთ ამ დროს ცურში ნაკლები რძეა.

აქედან ცხადია, რომ გამოწველილ რძის მეტი ნაწილი ჩნდება თვით წველის დროს. ეს არის მეორე ხანა რძის გაჩენისა, რომელიც იწყება სწორედ მაშინ, როცა ცური მუშაობაში შედის, ესე იგი, მაშინ. როცა ცურს ორ ხელს მოუსვამ და ნაზად ხელების დაჭერით დაზილავთ

ხელის მოსმა ცურზე, განსაკუთრებით მსუბუქი დაზელვა აღიზიანებს სარძევე ჯირკვალს, ცური და ძუძუები იბერებ-იპმებიან და რძეც იწყებს სისწრაფით გაჩენას.

წველის მოკლე ხანში უფრო მეტი რძე ჩნდება, ვიდრე მოწველიდან მოწველამდე.

წველის გათავებას იმით ატყობენ. რომ ცური იფონება, დუნდება, ძუძუები კი რბილად ეშვებიან, იჩლუტებიან და პატარავდებიან.

ამიტომ კარგი მეწველი ძროხის ცური გამოწველის შემდეგ აუცილებლივ ასეთი უნდა იყოს.

თუ გამოწველის შემდეგ ძროხას ცური და ძუძები ხორციანი და მაგარი დარჩა, არ დარბილდა და არ დაეშვა, ის ძროხა კარგი მეწველი არ იქნება.

რძის მეტ-ნაკლებობაზე დიდი გავლენა აქვს წველის სიხშირეს. დღე-ღამეში სამჯერ ნაწველი უფრო მეტ რძეს იძლევა, ვიდრე ორჯერ ნაწველი.

ფველის ფესის მნიშვნელობა

რძის რაოდენობაზე დიდი გავლენა აქვს ფველის ფესს. რძე უნდა გამოიწველოს სრულად. ამისათვის ძუძუს ხელი უნდა მოჰკიდოთ მთლიანად. ამუშავებენ ამ დროს ცმთავრესად ცერს, საჩვენებელ და შუა თითს. ხელს ჰკიდებენ ძუძუს რაც შეიძლება ღრმად. რძე ვერ წავა უკან და მუშტის მოჭერის გამო რძე ქვეითკენ მოექანება.

ხელი აუცილებლად მშრალად უნდა გქონდეთ და განუწყვეტლივ უნდა მოდიოდეს რძე.

თუ რძე საფველში ქაფდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ფველა კარგად მიმდინარეობს.

ცურში რძე არ უნდა დარჩეს. უკანასკნელ ნარჩომ რძის გამოსაწველად კარგია ცურის ნაზად დაზელვა და ერთხელ კიდევ გამოწველა.

თუ ცურში რძე დარჩა, შეიძლება ამან ცურის ანთება გამოიწვიოს.

ნაბოლარა რძე ყოველთვის უფრო მდიდარია ცხიმით, ვიდრე წინად გამონაწველი. წინასწარ დაზელილ ცურიდან გამონაწველი კი დაახლოებით თანასწორად მსუქანია.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თუ მეწველის შერჩევასთან და კვების გაუმჯობესებასთან ერთად, წესიერ წველასაც არ ექნება მიქცეული ყურადღება, მაშინ ყოველი ზომა, რომელიც მიმართული იქნება მეწველის ღალიანობის ასაწევად, ფუჭად ჩაგვივლის.

საჭიროა მიექცეს ყურადღება იმას, რომ **ცური რაც შეიძლება სრულად იყოს გამოწველილი.**


დამტკიცებულია, რომ ერთი და იგივე ძროხა, ერთნაირ პირობებში შენახულს მოუცია სხვადასხვა რაოდენობის რძე იმის მიხედვით, თუ როგორ იყო ის მოწველილი.

ცდა დაყენებული იყო 12 ძროხაზე. სწველავდნენ მათ ჯერ-ჯეროპით კარგი და უხეირო მწველელები. კარგი მწველელები გამოსწველავდნენ 12 ძროხისაგან 106 კილო რძეს, რომელშიაც ცხიმი იყო 4,12 პროც., უხეირო მწველელები კი იმავე ძროხებისაგან სწველავდნენ მხოლოდ 92 კილო რძეს, 2.86 პროც. ცხიმიანს, ე. ი. **კარგი მწველელი შეტს და მსუქან რძეს ღებულობდა ერთ და იმავე ძროხისაგან, ვიდრე უცოდინარი მწველელი.**

მესაქონლეობით და მერძეობით განთქმულ ქვეყნებში—შვეიცარიაში და დანეთში—დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მოწველას და უკვე შემუშავებული აქვთ წესები ცურის დამუშავებისა დაზელვით (მასაჟით), რომლის ძეოხებით ხდება თანაბარი გაღიზიანება მთელი სარძევე ჯირკვლებისა.

ამის გამო არა ნაკლები ყურადღება არის მიქცეული წველის კარგად მცოდნე პირების მომზადებაზე.

არსდება წველის სასწავლებლები, საიდანაც უშვებენ სპეციალისტ-მწველელებს.



ელექტროსით წველა

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იქ სადაც დაქირავებული მწველელების ხელშია საქონლის **წველა**

ჩვენი ქვეყანაც ემზადება ასეთ მსხვილ კოლექტიურ მერძეობის მეურნეობათა შექმნას და დროებული იქნებოდა ჩვენც გვეფიქრნა ამაზე.


მართალია, ეხლა შემოღებულია მწველავი მანქანები, მაგრამ მათ **არ** შეუძლიანთ სავსებით კარგი მწველელის მაგიერობის გაწევა. ყოველ შემთხვევაში მათ თანაშემწეებათ კარგი მწველელები უნდა ჰყავდეთ მოწველის წინ ცურის დასამუშავებლად.

ნ. წ—რი.

პირველი დახმარება შინაურ ცხოველებისა უგედურ შემთხვევებში

უნდა ითქვას, რომ ჩვენში შინაური ცხოველები მოკლებულნი არიან იმ გონივრულ მოვლა კვებას, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება გვასწავლის.

ბევრმა არ იცის, რომ შინაურ ცხოველებს, წვრილ ფეხია ის თუ მსხვილფეხი, ესაჭიროება თბილი, ნათელი, მშრალი და სუფთა სადგომი, რომ ცხოველი უნდა იკვებებოდეს საღი, შერჩეული საკვებით, კვება უნდა სწარმოებდეს ერთგვარ წესზე, წყალი უნდა ეძლეოდეს სუფთა და გრილი, კანი უნდა ეწმინდებოდეს ხშირად და



სურ. 1. საშარდე მილზე ცხელი დონის დადება.

მოპყრობა უნდა ქონდეს ლმობიერი, ადამიანური და არა უხეში.

ბევრი სხვადასხვაგვარი ავადმყოფობა ემართება შინაურ ცხოველს იმის გამო, რომ უვიცობით თუ დაუდევრობით აძლევს ცხენს დაობებულს, აშმორებულს ჭერს, თივას ან ჩახურებულს ბალახს, ან გაოფლიანებულ ნამუშავარ ცხენს ძრიელ ბევრს საჭმელს აძლევს დასვენებამდე, ან გამაძღარ ცხენს საჭმელის მონელებამდე არბენინებს, ან დაღლილ გაოფლიანებულს წყალს ასმევს და **აბამს ოროპირ ქარზე.**

ასეთ პირობებში მყოფი საქონელი, რაღა თქმა უნდა, ძალიან ხშირათ გახდება ავათ და აქიმობა, წამლობა სჭირდება.


ამავე დროს ჩვენში საქონლის აქიმი და მოწყობილი პირუტყვთა სამკურნალოები ძალიან ცოტაა.

ბევრ შემთხვევაში გაჭირების დროს გლეხს შეუძლია მოიყვანოს საქონლის ექიმი მესამე და მეოთხე დღეს, ე. ი. მაშინ, როცა უკვე ცხოველი ან მოკვდა ან აღარ იძლევა მორჩენის იმედს.

ასეთ პირობებში საქონლის და ცხენის პატრონმა უნდა იცოდეს ის შინაური საშუალებანი მაინც, რომლების ხმარებითაც შესაძლებელია ცხოველის სიკვდილს გადარჩენა და ხანდიხან მორჩენაც.

მხოლოთ ერთი რამ უნდა გახსოვდეთ მუდამ: **თუ ცოტა რამ შესაძლებლობა არის საქონლის აქიმის შოვნისა, უნდა აუცილებლათ ექიმი მოიწვიოთ.**

როდის ესაჭიროება სწრაფი საექიმო დახმარება ცხოველს და როგორ უნდა დაეხმაროთ?



სურ. 2. საყლაპავ მილში გაჭედილ ლუკმის ამოღება.

1) შარდის შეკუთვა


შინაურ ცხოველებში ხარსა და ულაყ ცხენს ემართებათ ხშირათ შარ-

დის შეხუთვა, ფაშატ ცხენსა და ძროხას კი ძალიან იშვიათათ, რადგან ამათ საშარდე მილი ფართე აქვთ.

შარდ-შეხუთული ცხენი ხშირათ ჩერდება, ძალას ატანს თავს გავიდეს შარდზე, იხედება მუცელზე და როცა ძალიან გაუჭირდება, უჩნდება ძლიერი ტკივილები და იწყებს გორაობას.

თუ ცხენს საშარდე მილში და ბუშტში გაჩენილი აქვს ქვა, შინაური წამლობით და სამუალებებით ვერაფერს გახდებით და უნდა ჩქარა ექიმთან წაიყვანოთ.

მაგრამ ხშირათ შარდის შეხუთვას უეცარი გაციებაც იწვევს. მაშინ ცხენს საშარდე ბუშტის და მილის კანკალი მოსდის.



სურ. 3. მუცლის მჭვლებით დაავადებული ცხენი.

ასეთ შემთხვევებში კუდის ქვეშ უკანალს დაბლა მოხარშული თივის **ცხელი დონე** უნდა დაადოთ.

დონე კეთდება ასე: დაკეპილი თივა ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით წყალი და, როცა ეს ადუღდება, ამოიღეთ, გაწურეთ და ჩაყარეთ პარკში. ცხელი პარკი დაადეთ უკანალს ქვემოდან ლაჯებში და მიამაგრეთ თავში და ბოლოში მიკერებულ ზორტებით წელზე გადაჭერილ სარტყელზე. (იხ. სურათი).

ამის შემდეგ უნდა ხელი შეუყოთ უკანალში, გამოუწმინდოთ სწორი ნაწლავი განავალისაგან და გაუკეთოთ თბილი წყლის ოყნა.

ოყნის გაკეთების შემდეგ ხელზე და მკლავზე წაისვით კარაქი ან ზეთი ან ვაზელინი, ფრთხილათ შეუყავით უკანალიდან ნაწლავში და ხელის ოდნავ დაჭერით ძირითა კედელზე დაუხელავთ საშარდე ბუშტს.

ცხენს თბილი სახურავი უნდა წაეფაროთ, ხოლო მუცელი და ფეხები უხილოთ ბეწვა ნამჯით ან ჩალით. ხშირათ საკმარისია ეს საშუალებანი, რომ ცხოველი შარდზე გავიდეს.

პირველ დღეს უმჯობესია წყალი სულ არ დაალევიოთ, ხოლო მეორე და მესამე დღეს ასვით მოთბო წყალი.

სამი-ოთხი დღე ცხოველი არ უნდა ამუშაოთ.

2) როგორ ვუშველოთ ცხოველს ხრჩობის დროს

ხშირათ ცხოველს საშმელი გაეჩხირება ყელში და საჭიროა საჩქარო დახმარება.

ასეთ შემთხვევაში ცხოველი იწევს ყელს წინ, სახე შეშინებული აქვს, პირიდან ქაფი მოდის, ისე ანძრევს თავს, თითქოს პირსაკმება უნდა და ვერ-კი უსაქმებია, ცდილობს დახველებას.

ასეთ შემთხვევაში პირველ ყოვლისა უნდა გაუსინჯოთ ცხოველს პირი, საყლაპავი და საყლაპავის მილი, ლუკმა ჩერდება ხან საყლაპავში, ხან საყლაპავ მილში.


დაალევინეთ ერთი ჩაის ჭიქა სასაქმებელი ზეთი—ძროხას და ცხენს და ერთი ღვინის ჭიქა-ღორს და ცხვარს. შემდეგ ერთმა დამხმარე კაცმა თავი უნდა აუწიოს, ხოლო მეორემ აუსჩამოუსვას ხელი ყელზე გარედან, საცა ძევს საყლაპავი მილი და გაუსინჯოს, თუ რომელ ალაგას არის ლუკმა გაჩერებული. ხელის ასმა-დასმით შეიძლება ლუკმა ან წამოაგდოს ცხოველმა პირიდან ან კუჭში ჩაუვიდეს. როცა ლუკმა პირისაკენ წამოვა, უნდა ხელი გაუყოთ და ამოუგდოთ.

ხან ლუკმა ძალიან ღრმათ არის გაჩრილი საყლაპავ მილში და მაშინ

უნდა მიმართოთ სქელ მავთულს ან სახრის სისქე ჯოხს.

მავთული ან ჯოხი უნდა ოდნავ მოღუნოთ, ერთ წვერზედ წამოაცვათ სუფთა ტილო, ამოავლოთ ზეთში და ფრთხილათ ჩაუყოთ პირიდან საყლაპავ მილში. თავი ამ დროს დამხმარე ამხანაგმა უნდა აუწიოს, ხოლო მეორემ ჩაუყოს ჯოხი. (იხ. სურათი 2).

თუ ერთი ჩაყოფით ვერას გახდით, ამოიღეთ ჯოხი და შეასვენეთ ცხოველი 5 წუთს, შემდეგ ისევ სცადეთ.



სურ. 4. ყანის გაკეთება სარწყულით.

თუ ერთჯერ ვერ შესძელით ლუკმის ჩაგდება კუჭში, მეორეჯერ ან მესამეჯერ შესძლებთ. ეცადეთ ჯოხის ან მავთულის ჩაყოფა-ამოყოფა ძრიელ ფრთხილათ მოახდინოთ, რომ არ გაუკაწროთ საყლაპავი მილი.

3) ცხენის მუცლის მჭვლები

როცა ცხენს ბევრს აჭმევთ ქერს ან შვრიას და მაშინათვე გაუყენებთ გზას ან თუ ნამუშავარ ცხენს არ დააცლით შესვენებას და გააძლობთ იმავე ქერით, ან თუ ქერი და შვრია აშმორებულია და ან თუ ნამუშევარი ოფლიანი ცხენი დააყენეთ ორ-პირ ქარზე, მას დაემართება მუცლის მჭვლები.

მუცელში უჩნდება ტკივილები, ცხენი იწყებს მუცელზე ყურებას, ურტყამს მიწას ფეხებს, თვალები უწითლდება, მუცელი ებერება, სუნთქვა უხშირდება, მიწაზედ გორაობს (იხ. სურათი 3).

უნდა დაიმკლაოთ ხელი, წაისოთ უბრალო ქონი ან ვაზელინი ან ზეთი შეუყოთ უკანალში და უკანა ტანი გამოუწმინდოთ განავალისაგან. შემდეგ გაუკეთეთ თბილი წყლის საპნიანი ყანა, მოუმატეთ ერთი ჭიქა ცხელ წყალში გახსნილი ნახევარი სუფრის კოვზი მარილი: დაალევინეთ საფალარათო,—1 გირვანქა თბილ წყალში გახსნილი გლაუბერის მარილი.

ყანა 2-3 ჯერ შეიძლება გაუკეთოთ. საფალარათომ თუ არ გასჭრა, დაალევინეთ მეორეთ 4 საათს შემდეგ.

თუ ცხენი კანკალებს და სცივა, უნდა გვერდები და მუცელი დაუზილოთ ჩალით, ნამჯით.

არ მისცეთ გორაობის ნება, უკეთესია არბეინოთ.

ვიდრე კუჭნაწლავები არ გაეწმინდება, საჭმლის მიცემა არ შეიძლება.

ყანის გაკეთება შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში სარწყულით. სარწყული უნდა ჯერ კარგათ გამორეცხოთ, აავსოთ თბილი წყლით, ლულაზედ შემოახვიოთ მჭვარი, ჭინჭი, რომ არ გაეჭრას კანი და ჩაუდგათ უკანალში (იხ. სურათი 4).

4) შხამიან ბალახებით მოწამლულის შველა

საძოვარზე ცხენიც და საქონელიც ხშირათ აყოლებს შხამიან ბალახს: რძიანას, უცუნას, ფშვიტას, ენძელას, ლემს, ლენცოფას და სხვას და იწამლება.

მოწამლულ ცხოველს მადა ეკარგება, პირი დუჟით ევსება, სუნთქვა უძნელდება, ტანი უცახცახებს, ცივ ოფლს ასხამს, ხან ფაღარათი ემართება სისხლით, წელი სტკივა და სისხლიანი შარდი აქვს. ხან ღელავს, შფოთავს, ხან მიმკვდარებულია. უნდა ცივი წყალი ასხათ მთელ ტანზედ და ზილოთ მაუდით ან ჩალით; გაუკეთეთ ყანა ნელთბილი სელის გამონახარშით, თუ ფაღარათი აქვს, დაალევინეთ

პირველში კუჭნაწლავების გასაწმენდი გლაუბერის მარილი ($^1/_2$ გირვანქა მარილი ერთ ბოთლ სელის მარცვლის გამონახარშზედ ჯერზე, დღეში ორ-ჯერ). თუ ფალარათი არ ჩერდება, დაალევინეთ მუხის ან ტირიფის ქერქის გამონახარში, ნახევარ ბოთლი ჯერზე, დღეში 4-ჯერ.

როცა წელი აქვს გაშეშებული, დაალევიეთ ნიშადურის სპირტი (2 სუფრის კოვზი შეურიეთ 2 ბოთლ პიტნის ჩაიში და მიეცით $^1/_3$ ბოთლი ჯერზე, დღეში 2-ჯერ).

თუ სისხლის შარდი დაემართა, წელზედ უნდა ადოთ ცივწყალში დასველებული ტილო, ან ყინული და გაუკეთოთ ცივწყლის ოყნა და ასვათ ქერის ან სელის გამონახარში.

5) სისხლის შეჩერება

სისხლი სდის ცხოველს მაშინ, როცა უცაბედათ რამე ჭრილობას მიიღებს, მჭრელი იარაღით ან თუ ლურსმანზე ან მწვეტიან სარზე წამოეგება.

ჩვენში გავრცელებულია, როგორც სისხლის შესაწყვეტი საშუალება, აბლაბუდის ან თიხამიწის დადება. ეს ყოვლად დაუშვებელი და მავნე საშუალებაა. შველის მაგიერ აქ ადვილათ შეიძლება ცხოველის მოწამვლა, რადგან ამ გზით შეიძლება ცხოველს გადავდოთ წელკავის, ხუზარის და სხვა ავათმყოფობის ბაქტერია.

ჯერ ჭრილობა უნდა მობანოთ ძმარ წყლით, შემდეგ იმავე ძმარში დაასველოთ სუფთა ტილო და დაადოთ ჭრილობაზედ. ზეიდან უნდა შემოახვიოთ ტილო და კარგა მაგრა შეუხვიოთ. თუ ჭრილობა ფეხზედ აქვს, ჭრილობის ცოტა ზეით უნდა მჭიდროთ შემოუჭიროთ პირსახოცი, რომელიც სისხლის დენას შეაჩერებს. ორი საათის შემდეგ ეს პირსახოცი უნდა მოხსნათ.

როცა ცხვირიდან ან პირიდან სდის სისხლი, უნდა თავზედ და ცხვირზედ ადოთ ცივ-ცივი ტილო.

საქონლის ექიმი **მირიანაშვილი.**



კოლექტიური მეურნეობა, რომელმაც გარკვეული და ნაწამლი თესლი მწკრივად სათესი მანქანით დათესა და ჰექტარზე 120 ფუთი პური აიღო.

კოლექტიური მესაქონლეობა

ჩვენი მესაქონლეობის წინწაწევა მხოლოდ კოლექტიური გზით შეიძლება

საქონელი რომ უფრო შემოსავლიანი იყოს, საჭიროა მისი კარგად მოვლა-შენახვა.

საქონლის კარგად შენახვის და მოვლა-კვებისათვის ჩვენებური მიწური, ბნელი, ჰაერ-დახშული ბოსლები სრულებით არ ვარგა.

დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის ღალიანობისათვის ბინის ავ-კარგიანობას: ფართე, სათელი, თბილი და სუფთა ბინაზე საქონელი უკეთ გრძნობს თავს, განსაკუთრებით მეწველი საქონელი.

კარგად მოწყობილ ბინაზე საქონლის სუფთად შენახვა და საკვების გონივრულად გამოყენება ყოველთვის ადვილია.

ჩვენმა ხელმოკლე გლეხობამ რაც უნდა მოინდომოს თავისი მესაქონლეობის გაუმჯობესება, მისი ღალიანობის და გამოსავალის აწევას, ის ვერასოდეს ვერ შესძლებს თუ მან ისევ ისე განცალკევებულად, კერძოდ, უმეზობლოდ, უამხანაგოდ განაგრძო მეურნეობის წარმოება, როგორც დღემდე აწარმოებდა.

ის ვერ შესძლებს ვერც ჯიშიან საქონლის ყოლას, ვერც კარგს ბინის გამართვას და ვერც რძის ნაწარმოების გადიდებას ვერც მის ღირსების აწევას.

მას ამისათვის არავითარი ძალღონე არ შესწევს.

ამ მიზნების მიღწევა შეუძლიან მხოლოდ დიდ მეურნეობას, მძლავრ ორგანიზაციას. ასეთი ორგანიზაცია ჩვენს პირობებში მხოლოდ **კოლექტიური მეურნეობა წარმოადგენს.**

კოლექტიურად ანუ ამხანაგურად გაერთიანება მესაქონლეობაში ისევე ადვილია, როგორც მაგალითად, ვსთქვათ, მიწების საერთო ძალით დამუშავება

მიწების საზოგადოებრივ, ამხანაგურად დამუშავების უპირატესობაში ბევრი ჩვენი მეურნე უკვე დიდი ხანია დარწმუნდა და ამ სახის ამხანაგობანი დღითი-დღე მრავლდებიან ჩვენში.

გაცილებით მეტ მოგებას და უპირატესობას მიიღებენ ჩვენი ხელმოკლე მეურნეები თავის საქონლისაგან, როცა ისინი მესაქონლეობაშიაც ამხანაგურად დაირაზმებიან.

მაშინ ყოველი ღონისძიების შესრულება, რომელიც საჭიროა მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად, გაცილებით გაადვილდება სათითაოდ ყველა მეურნისათვის.

ამხანაგობა ადვილად შესძლებს მესაქონლეობის მცოდნე პირის დაქირავებას, რომელიც თავიდანვე შეუდგება იმ პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ, როგორც საქონლის გაუმჯობესებას, ისე ნაწარმოების უკეთეს პირობებში დამზადებას და მის ხარისხის აწევას.

დღეს თუ ოჯახს ერთი ძროხა ჰყავს, იმის მოვლა-პატრონობას მთელი ოჯახი უნდება: ასე ხდება მთელ სოფელში, სულ მცირეოდენ საქონელზე აუარებელი მუშახელი ბანდდება. მესაქონლეობის კოლექტიურ მეურნეობაში კი შეიძლება რამდენიმე სულ ძროხას მხოლოდ ერთი კაცი მიუჩემოთ და აუარებელი მუშახელი გავანთავისუფლოთ, რომელიც შეიძლება სხვა სამუშაოზე გამოვიყენოთ.

მესაქონლეობის კოლექტიურად წარმოებამ არავინ არ უნდა შეაშინოს. ჩვენს მეცხვარეობაში და ზოგან მეძროხეობაშიაც დღესაც ძალიან ხშირად შეხვდებით ამხანაგურად საქმის წარმოებას. მხოლოდ ამას მეტი გაფართოება, განვითარება, მეტი შეგნება და ანგარიშიანობის შეტანა სჭირია, რასაც კოლექტიური მეურნეობა ყოველთვის ადვილად დასძლევს. რადგან მისი მთავარი მიზანი და დანიშნულება სწორედ ეს არის.

ნ. ნინიკაშვილი.

ჯანმრთელობა

გრიპი

გრიპი ანუ ინფლუენცა ცნობილი ავადმყოფობაა ჩვენი ხალხისათვის.

გრიპი წარმოადგენს ყველაზე ხშირ გადამდებ სენს, რომელიც უფრო ხშირდება შემოდგომობით და გაზაფხულობით; ხშირდება იმიტომ, რომ ამ ხანებში ამინდი სწრაფად იცვლება: თბილ და ხან ცხელ დღეებს უცბად სცვლის ცივი ამინდი.

ბევრი ადამიანის სხეული ასე სწრაფად ვერ ეგუება ამინდის უეცარ ცვლას, ადვილად ცივდება და ეს ხელს უწყობს გრიპით დაავადებას.

ალბათ ამიტომ უწოდეს იტალიელებმა ამ სენს „ინფლუენცა“, რაც ნიშნავს ჩვენებურად „სიცივის გავლენას“.

გრიპი არ არის ახალი ავადმყოფობა. ეს იგივე ყველასათვის ცნობილი ხველა-სურდოა, რომელიც ზოგჯერ მოარულის ხასიათს იღებს და ადვილათა და სწრაფადა ვრცელდება მცხოვრებთა შორის.

ზოგჯერ იგი მეტად ავხნიანია. მძლავრ შხამს უშვებს ავადმყოფის სხეულში, და ამიტომ ხშირად ის წარმოადგენს მეტად სახიფათო დავადებას.

ასე იყო ამ რამოდენიმე წლის წინეთ, როდესაც ეს ავადმყოფობა მოგვევლინა „ისპანკის“ სახით და აუარებელი მსხვერპლი შეიწირა.

რა იწვევს გრიპს?

გრიპსაც, როგორც საერთოდ ყოველ გადამდებ ავადმყოფობას, ჰყავს თავისი გამომწვევი მიზეზი.

ეს არის თვალით უხილავი ჩხირის მსგავსი ცოცხალი არსება, რომელიც აღმოაჩინა მეცნიერმა **ფეიფერმა**, ამიტომ მას **ფეიფერის** ჩხირს უწოდებენ.

ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი მეცნიერის აზრით გრიპის გამომწვევი მიზეზი ფეიფერის ჩხირთან ერთად არის კიდევ სხვა რომელიღაც მიკროორგანიზმები (ფრენკელის დიპლოკოკი და სხვა).

ეს ბაცილები თუ ავადმყოფ ადამიანიდან დაცემინების, ხველის ან ლაპარაკის დროს წინწკლების საშუალებით მოხვდა როგორმე საღი ადამიანის ცხვირის ან პირის ღრუს ლორწოვან გარსზედ, შეიძლება ამ საღ ადამიანსაც დაემართოს გრიპი.

ამიტომ გრიპით დაავადებულ ავადმყოფს უნდა ახსოვდეს, რომ ხველების, ლაპარაკის და დაცემინების დროს პირზე ცხვირსახოცი ან ხელი მიიფაროს, რომ ახლო მყოფებს არ შეაყაროს წინწკლები და არ გადასდოს მათ ეს სენი.

გრიპით დაავადებულმა მაწოვარმა დედამ ძუძუს მიცემის დროს ცხვირ-პირი ხილაბანდით უნდა აიხვიოს, რომ ბავშს ეს ავადმყოფობა არ გადასდოს, რადგან გრიპი ბავშვებისათვის მეტად სახიფათო ავადმყოფობაა.

გრიპი მათ ადვილათ ურთულდებათ და შეიძლება ფილტვების, თავის ტვინის გარსების, ან ყურის ანთება დაემართოს.

ხშირად ასეთი გართულება მოზრდილებსაც ემართებათ.

გრიპი იწყება სურდოთი, თავის ტკივილით, ხველით; ავადმყოფს აკანკინებს, თვალები გაწითლებული აქვს და ეწვის, სინათლე არ ესიამოვნება. სტკივა შუბლი, საფეთქლები, ხმამაღლა ლაპარაკი უმძიმს, ტანში აჟრიალებს, აძლევს სიცხეს ხშირად ოფლს ასხავს, ძილი უფრთხება, პირი მწარე აქვს, მადა ეკარგება. ხშირად ყელიცა სტკივა და ყლაპას უშლის.

ეს უფრო ყველაზე ხშირი სახეა გრიპისა.

ზოგჯერ ფილტვებზედაც გადადის ეს ავადმყოფობა, უფრო კი მაშინ, როდესაც თავიდანვე ფრთხილად არ იქცევა ავადმყოფი.

ასეთ შემთხვევაში მას ძალიან ახველებს, ამოაქვს ნახველი, სუნთქვა უძ-

ნელდება, ემართება ქოშინი, გვერდებში ჭვალავს, უფრო დიდ სიცხეს აძლევს და ავადმყოფი იძულებული ხდება ლოგინში ჩაწვეს.

ეს უკვე ფილტვების გრიპოზული ანთება არის, რომელიც საკმარისად სახიფათო ავადმყოფობას წარმოადგენს, ნამეტნავად ბავშვებისათვის, მოხუცებულთათვის და მსმელ ხალხისთვის.

რადგანაც ასეთ შემთხვევებში გრიპი უმთავრესად ფილტვებში იბუდებს, ამიტომ ეს იქნება ფილტვების გრიპი.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც გრიპის ბაცილები კუჭ-ნაწლავში იბუდებენ, ამ დროს ავადმყოფს ეშლება კუჭი, ტანში თხლად არის, ხშირად აჟრიალებს, აძლევს სიცხეს. ოფლს, გრძნობს ტკივილებს და ჭრას მუცლის მიდამოში.

ასეთი ავადმყოფობის განავალში ბლომად მოიპოვება გრიპის ბაცილები. ავადმყოფსა ჰგონია, რომ მას რაიმე საჭმელმა აწყინა და ხშირად თითონა სცდილობს წამლობას, სვამს სასაქმებელ წამლებს და სხვა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც უმთავრესად ისეთივე წამლობაა საჭირო, როგორც საერთოდ გრიპის დროს.

წამლობა

ავადმყოფისთვის საჭიროა უმთავრესად თბილად ყოფნა, რომ არ გაცივდეს. ამიტომ საჭიროა რამოდენიმე დღე სახლში იყოს—წოლით დაიცვას მთელი სხეულისა და განსაკუთრებით კი ხელებისა და პირის ღრუს სისუფთავე, ფურთხის საფურთხებელში. საჭიროა ერიდოს კვამლსა და მტვერს, აგრეთვე ხმა-მაღლა ლაპარაკს, ცხარე, ძალიან ცხელსა და ძალიან ცივ საჭმელებს, რომ უფრო მეტად არ გაუღიზიანდეს ცხვირისა და ყელის ლორწოვანი გარსები.

ყელის ტკივილის წინააღმდეგ საჭიროა პირში ბორის სიმჟავის ან ბერთოლეს მარილის ხსნარის (ერთი ჩაის კოვზი ერთი ჭიქა ცხელ წყალზე) გამოვლება. უფრო უკეთესია პირში სავლებლად წყალმბადის ზეჟანგი (ერთი ჩაის კოვზი ერთი ჭიქა წყალზე).

ყელი თბილად უნდა შეიხვიოს (უკეთესია კომპრესის გაკეთება). საჭიროა ამავე დროს სვას ოფლის მოსაყვანი წამლები (ასპირინი, სალიპირინი და სხვა) და ლოგინში იწვეს. რადგან ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფობა უკვე ფილტვებშია გადასული და ავადმყოფი კი ხოგჯერ ამას თავის დროზე ვერა გრძნობს.

ამიტომ უკეთესია ყოველთვის, როდესაც კი შეამჩნევთ გრიპის ნიშნებს, მიმართოთ ექიმს და მოიქცეთ ისე, როგორც დაგარიგებთ.

ჩვენში ამ ავადმყოფობას არაფრად აგდებენ. ხშირად იტყვიან—„არაფერია, უბრალო ხველა-სურდოა“-ო. თუ ვინმე ლოგინში ჩაწვა, დასცინიან კიდეც.

ასეთი ზერელე და უყურადღებო მოპყრობა ავადმყოფობისა, ხშირად საბედისწერო ხდება ავადმყოფობისათვის. ის მართლა არაფრად აგდებს ამ „ხველა-სურდოს“, არ უნდა, რომ მოსცდეს მუშაობას, სიცხიანი და ხანოფლიანი დადის სამუშაოდ, ამ დროს ის უფრო მეტადა ცივდება, ავადმყოფობა უფრო მეტად იპყრობს მას, ემართება ფილტვების ანთება და სხვა.

ეს უბედურება რომ არ დაგვემართოს, საჭიროა თავიდანვე ფრთხილად ვიყოთ, მივმართოთ ექიმს და ავასრულოთ მისი რჩევა-დარიგება.

ექიმი. **გ. ი. მათეშვილი.**

მეცნიერება და ტექნიკა


თესლის წამლობა მშრალად

სხვადასხვა სოკოებრივი სნეულება დიდ ზარალს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო მცენარეებს.

პურეულსაც ბევრი მავნე სოკოებრივი ავადმყოფობა ემტერება.

მეურნე დიდიხანია მეცნიერების დახმარებით სხვადასხვა ღონისძიებას ხმარობს მათ წინააღმდეგ.

არ არის დიდიხანი, რაც შემოღებული იყო სათესლე ხორბალის კირით წამლობა. მერე შემოიღეს კირ-შაბიამანის ხმარება. ახლა ჩვენში და სხვა-



თესლის მშრალად მოსაწამლი მოწყობილობა (აპარატი)


განაც შემოღებულია ფორმალინით წამლობა.

ყველა ეს წამლები იხმარებოდა და იხმარება თხლად.

ამ უკანასკნელ ხანში თესლის წამლობაში შემოიღეს თხელ წამლის მაგიერ მშრალი წამლის ხმარება.

ეს გამოგონება ეკუთვნის გერმანელს (1902 წ.).

ასეთ წამლობას ჯერ იტალიამ მიაქცია ყურადღება, მერე ავსტრალიამ და ყველაზე უფრო ფართეთ გამოიყენა ჩრდილო-ამერიკამ.



აპარატის დაცლა დახურულად, რომ წამლის მტვერმა თვალებზე არ იმოქმედოს.

1923 წელს იქ უკვე 19 მილიონი ფუთი თესლი მშრალად იყო ნაწამლი.

მალე მშრალად წამლობას გერმანიაში დიდი ყურადღება მიაქციეს და ბევრნაირი წამალიც გამოიგონეს თესლის მოსაწამლავად სოკოებრივ სენის წინააღმდეგ, მაგალითად გუდაფშუტისა და სხვა. 1925 წელს იქ ფართედ იყო გამოყენებული მშრალად წამლობა და საუკეთესო შედეგები მისცა.

ეს წამლობა ფორმალინით წამლობისაგან იმით განირჩევა, რომ თესლი არ სველდება და მოქმედება კი ერთნაირი აქვს.

წამლის და წამლობის გამოგონებასთან ერთად გამოიგონეს სათანადო ხელსაწყო-მანქანებიც.

თესლის მშრალად მოწამვლის ხელსაწყო დღეს გერმანიაში უკვე ბევრნაირია გამოგონილი. ორი მათგანი აქვეა მოყვანილი სურათად.


მართალია, როგორც თხელი, ისე მშრალი წამლობა ერთნაირად კარგ შედეგებს იძლევიან, მაგრამ მშრალად წამლობას ის უპირატესობა აქვს, რომ მშრალი წამლობის ხმარება გაცილებით მარტივი და უფრო ადვილია, ვიდრე სველად.

სველად წამლობისათვის უნდა მომზადდეს სითხე, რომელშიაც სველდება თესლი და მერე ეს უნდა გაშრეს ჰაერზე. ეს ხანდახან დიდხანს გრძელდება.

სველი თესლის დათესვა გვალვიან მიწაში აგრეთვე არ შეიძლება. თხელ წამლით ნაწამლი თესლის ტომრებში შენახვაც არ შეიძლება, შეიძლება ჩახურდეს და თესლმა აღმოცენების უნარი დაკარგოს.

მშრალად წამლობის დროს კი თესლი თანაბრად ირევა წამლის ფხვნილთან ერთად სულ მოკლე ხანში და ამ ყოფაში შეიძლება მისი შენახვა ტომრებში დათესვამდე. ჩახურების შიში სრულებით არა აქვს კაცს.

მშრალი წამალი ყველა თესლეულზე ერთნაირად გამოიყენება.



გამოსადეგი ცოდნა

კვერცხის შენახვა.

კვერცხის დიდხანს შენახვა ძნელია.

ხანდახან, როცა კვერცხი ბაზარზე ძლიერ იაფად ღირს, ოჯახში ბევრია და ხელსაყრელი არ არის მისი იაფად გაყიდვა.

ამიტომ კარგია მეურნემ იცოდეს, თუ როგორ შეიძლება კვერცხის შენახვა, რომ ის სწორედ მაშინ გაყიდოს, როცა კარგ ფასშია.

აი ეს საშუალებაც: აიღეთ იმ ზომის კასრი, რომ შეიძლებოდეს შიგ იმდენი კვერცხის ჩატევა, რამდენიც შენახვასაც აპირებთ და დადგით ის სარდაფში.

მერე აიღეთ 400 გრამი ანუ ერთი გირვანქა დაუშთობელი კირი და გახსენით კარგად ერთ ვედრა წყალში. აურიეთ კარგად და ხელუხლებლად დასტოვეთ ორი დღით.

ორი დღის შემდეგ ხსნარი კიდევ დაურიეთ და დაცალეთ, რომ დაწკნეს. დაწკნარი წყალი გადაასხით კასრში, ნაღექი კი გადაყარეთ. თუ ხსნარი არ გეყოთ, კიდევ გააკეთეთ ასეთივე ხსნარი და ჩაასხით კასრში ნახევრამდის.

შეგროვილ კვერცხს შეგროვების მიხედვით ააწყობთ კასრში და იქ დარჩება მანამდის, ვიდრე კვერცხს ერთგვარი თეთრი ფიფქი არ გადაეფარება.

კვერცხი კასრიდან ფრთხილად უნდა ამოიღოთ პატარა ცხრილით ან პატარა ხის ჭაფქირით.

წყალი რომ დაიწკრიტება, კვერცხებს დააწყობთ მაგიდაზე გასაშრობად. გაშრობის შემდეგ კვერცხებს ჩაალაგებთ ყუთში.

კირის წყალში ყოფნის შემდეგ კვერცხს ლამაზი თეთრი ფერი გადაკრავს. ამგვარად მომზადებული კვერცხი დიდხანს ინახება.

კვერცხი მოგროვების დროსვე უნდა დაახარისხოთ სხვილი და წვრილი კვერცხი ცალცალკე გადაარჩიოთ, რადგან ერთნაირის ზომის კვერცხს უფრო ხალისიანად ყიდულობენ. გარდა ამისა მსხვილ კვერცხს მყიდველი უფრო ეტანება.

ხილის შესახვევი მასალა

ხილის შესახვევად ხმარობენ ხის ბურბუშელას და ქალალდს.

ბურბუშელა უნდა იყოს ისეთი ხისა, რომელსაც ცუდი სუნი არა სდის. კარგია ცაცხვი და თუთა, ფიჭვი არ ვარგა.

იმის თქმა თუ რამდენი ბურბუშელა დასჭირდება ერთ ფუთ ხილის ჩალაგებას, ძნე-

ლია: ეს დამოკიდებულია ხილის სისხოზე, ჰურჭელზე და ბურბუშელაზე. სამ ფუთიან ყუთს დასჭირდება 4—6 გირვანქა, როცა უბრალოდ არის ჩაყრილი და მას ხმარობენ მხოლოდ ყუთის ძირში და რიგშუა და რიგში ჩასაწყობათ. ერთ ვაგონს კი სჭირია 20—30 ფუთი.

ფუთიან ყუთზე		გირ. ვაგონზე		ფუთი.
ორ	„	5—6	„	38—45
სამ	„	7—8	„	35—45
ოთხ	„	8—9	„	30—34

ზოგან ბურბუშელის მაგივრათ ხმარობენ ქაღალდის ნაკუწებს.

ქაღალდის ნაკუწები ორნაირია: ერთი ჩვეულებრივი ქაღალდი, რომელიც გროვდება წიგნების დასაკაზმავ ჩარხნებში, მეორე პაპიროზის ქაღალდისა. ჩვეულებრივი ქაღალდის ნაკუწები იმდენი უნდა, რამდენიც ხის ბურბუშელა, რაც შეეხება პაპიროზის ქაღალდს ის ნაკლები სჭირია, ესე იგი:

ერთ ფუთიან ყუთს		3 გირ. ვაგონს		38 ფუთი
ორ	„	6	„	35 „
სამ ფუთიან ყუთს		3 გირ. ვაგონს		30 ფუთი
ოთხ	„	8	„	28 „

ხილის თითო ნაყოფის შესახვევათ საჭიროა გასახვევი თხელი პაპიროზის ქაღალდი.

ერთ ფუთიან ყუთისათვის საჭიროა.

ექსტრასათვის 64—80 ცალი—თითო ხილს $^1/_4$ თაბახი, 1 ყუთს 12—20 თაბ., ერთ ვაგონს 7.200 ც.

პირველი ხარისხის 100 ცალი ნაყოფის თითო ხილს $^1/_6$ თაბახი, ერთ ყუთს 12,7 თაბახი, ერთ ვაგონს—7 620 ცალი.

მეორე ხარისხის 120—144 ცალი, თითო ხილს $^1/_8$ თაბახი. ერთ ყუთს 15—18 თაბახი, ერთ ვაგონს—9.000—10.800 ცალი.

ორ ფუთიან ყუთისათვის საჭიროა

პირველ ხარისხის 200 ცალი ნაყოფი $^1/_{16}$—34 თაბახი, ერთ ვაგონს 10.200 ცალი.

მეორე ხარისხისა 240—288 ნაყოფი $^1/_8$—30—36 თაბახი, ერთ ვაგონს 9.000—10.360 ცალი.

ჩვეულებრივ სამ ფუთიან ყუთში არ აწყობენ.

კითხვა-პასუხი

აგრონომიული დარიგება.

კ ი თ ხ ვ ა. ჩვენში მოდის კარგად ხანჭკვალა, მაგრამ არ ვიცით მისი გამოყენება, გთხოვთ რჩევა-დარიგებას.

ირადიონ სვანიძე.

პ ა ს უ ხ ი. ხანჭკვალა ანუ ლიუპინი ძლიერ კარგია მწვანე სასუქად. მას ადვილად შეუძლიან საჭონლის სასუქის მაგიობა გასწიოს. სადაც საჭონლის ნაკლებობაა ან არ შეიძლება ადვილად და პატარა ხარჯით საჭონლის სასუქის მიტანა მამულში, მაშინ დათესავენ ხანჭკვალას და მერე ჩახნავენ. ხანჭკვალა უნდა ჩაიხნას ყვავილობისას და ძლიერ ამდიდრებს ნიადაგს აზოტით. ეს ერთ-ერთი ნივთიერებათაგანია, რომელიც ესაჭიროება მცენარეებს საკვებად. მართალია, ნიადაგის მზრივ ხანჭკვალამ დიდი გარჩევა არ იცის, მაგრამ მაინც ნაკლებად ვითარდება მკვრივ და თხელ ნიადაგზე. ძლიერ თიხნარი და ხაჭყატიანი ნიადაგებიც ხანჭკვალას არ უყვარს. ხანჭკვალა საჭონლის საკვებადაც ვარგა. საჭონელი თუ ერთი შეჭრია, სიამოვნებით სჭამს.

აგრ. ნ. წიკლაური.

კ ი თ ხ ვ ა. მინდა გავაშენო ნამყენი ვენახი. როდის უნდა გადაბრუნდეს სავენახე მიწა, როგორი ნიადაგი სჯობია და როგორ უნდა დაირგას.

კვახჭირი. სერგო ახვლედიანი.

პ ა ს უ ხ ი. სავენახე ადგილი უნდა გადაბრუნდეს (გაკეთდეს პლანტაჟი) 50 სანტიმეტრზე (12 ვერშოკი) შემოდგომაზე, ვაზი კი ირგება გაზაფხულზე. ნამყენი უნდა იყოს ამერიკულ ჯიშის ვაზზე: კირნარ ნიადაგისათვის კარგია ბერლანდიერი, ახალ ნოყიერ თიხნარზე — რიპარია-რუპესტრის 101-^{14}, მშრალ და უფრო ღრმა ნიადაგისათვის—რიპარია-რუპესტრის 3309. მანძილი ვაზსა და ვაზს შუა ადგილის მიხედვით მეტრ-ნახევრიდან ორ მეტრამდის (2—3 არშინი) უნდა იყოს. ვენახის გაშენებაზე ძლიერ ბჭირად იწერება, როგორც გაზეთში ისე ჟურნალ „ახალ სოფელში“. გამოიწერეთ ორთავე და თვალყური ადევნეთ იქ მოყვანილ სასარგებლო ცნობებს. წაიკითხეთ ჟურნალი „ახალი სოფელი“-ს №№ 1 და 2.

აგრ. ერ. ნაკაშიძე.

რედაქტორი-აგრონომი ნ. აღნიაშვილი. პასუხ. რედაქტ. გ. მუშიშვილი.
მთავლ. № 1778. გამომცემლობა „ახალი სოფელი“. ტირაჟი 5000.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა. კომოს ქუჩა, № 68.

ა 9846 ს
1928

გაზეთ „ახალი სოფელის“-ს რედაქციასთან
გლეხური ლიტერატურის გამომცემლობა

„ახალი სოფელი“

გამომცემლობის მიზანია გამოსცეს და ფართოდ გაავრცელოს გლეხობისათვის გასაგები ლიტერატურა ყოველი დარგიდან: პოლიტიკიდან, ლიტერატურიდან, მეურნეობიდან, მეცნიერებიდან და სხვ.

ყველა პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევა გამომცემლობა „ახალი სოფელი“-ს საშვალებით გამოსცეს, თავის ხაზით, სასოფლო ლიტერატურა და მიაწოდოს ის გლეხობას.

1928—29 საოპერაციო წლის განმავლობაში გამომცემლობას განზრახული აქვს 200 სხვადასხვა სახელწოდების ბროშიურის გამოცემა 2 მილიონი ტირაჟით.

უკვე გამოიცა და ვრცელდება სოფლად:

1. ი. ტატიშვილი. „მიწის საკითხები“ (ოჯარა, შენობის გაყიდვა) ტ. 15000 ფ. 10 კ.
2. ივ. გომართელი. „მიწის მუშის მტრები“—(საეჭიმო დარიგებანი) ტ. 15.000 10 კ.
3. ი. სტალინი. „მთის არწივი“ (ლენინის შესახებ სურათით) ტირაჟი 25.000 5 კ.
4. აღ. შანშიაშვილი. „ტყის ჭურდი“ მოთხრობა.—ტ. 15.000 5 კაპ.
5. ბონჩ-ბრუევიჩი. „თავდასხმა ლენინზე“. ტ. 15.000 10 კაპ.
6. ვ. აბრამიშვილი. „სისხლიანი კვირა“ (9 იანვრის ამბავი) ტ. 10.000 10 კაპ.
7. ი. გედევანიშვილი. „მოჩვენება“. (მოთხ. სოფლის ცხოვრ.) ტ. 10.000 10 კაპ.
8. ვ. გარრიკი. „ტურა ჯიღლაური.“ (მოთხ. სოფლის ცხოვრ.)—ტ. 10.000 10 კაპ.
9. გ. ჭუჩიშვილი. „წითელი ჩონგური“—(სახალხო ლექსები)—ტ. 10.000 15 კაპ.
10. პ. ბუაჩიძე. „ქალთა სნეულებანი“ (სურათებით)—ტ. 10.000 10 კ.
11. ნ. აღნიაშვილი. „მავნებლები და მათთან ბრძოლა“—ტ. 15.000 10 კაპ.
12. კ. ფარეიშვილი. „საქონლის ავადმყოფობანი“ (სურათებით)—ტ. 10.000 10 კ.
13. ხანკალამოვი. „მიწების გაცვლა“.—ტირაჟი 10.000 5 კ.
14. ლადო კიკაბიძე. „ოჯახი, ქორწინება და მეურვეობა“ —ტ. 10.000 10 კ.
15. ი. დოლიძე. „საბჭოთა სასამართლო და გლეხობა“ (საუბრ.) ტ. 10.000 10 კ.
6. ნ. ზომლეთელი. „მრუდე გზა“. (მოთხრ. სოფლის ცხოვრ.)—ტ. 20.000 10 კ.
7. ვლ. ცაგარელი. „როგორ მოვაწყოთ კოლექტივები სოფლად“.—ტ. 5.000 10 კ.
8. მოსე გოგიბერიძე. „როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი“.—ტ. 10.000 10 კ.
19. ს. მამულია. „საგლეხო სესხი და მისი დანიშნულება“.—ტ. 10.000 10 კ.
20. გ. მ—ლი. „პარტია და სოფელი“ (მე-15 ყრილ. სოფ. მუშ. შესახებ) ტ. 5.000 10 კ.
21. ნ. ლორთქიფანიძე. „იუმორი“—ტირაჟი 5.000 20 კაპ.
22. „1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი“—ტ. 10.000 10 კაპ.
23. ჟურნალი „ახალი სოფელი“ 5 ნომერი—ტირაჟი 30.000 15 კაპ.

გამოცემის და გავრცელების პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, ვოლოდარსკის ქუჩა № 11

გამომცემლობა „ახალი სოფელი“. გამგეობა.